

ე. ჯავახიშვილი




ესხეთ-ჯავახიშვილის პიგა



მ. ჯავახიშვილი

მესხეთ-ჯავახეთის კავა



თბილისის უნივერსიტეტის გამოგცემა
თბილისი 1990



55156 (e 322)



26.234.7(2 Γ)

X 145

წაგნი განკუთვნილია სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, მას-
წავლებელების, სტუდენტებისა და ბუნებისმეტყველების საკითხებით დაინ-
ტერესებული ფართო მეცნიერებლისათვების.

ନେତ୍ରବ୍ୟକ୍ତିଗାନ ଡ. କମ୍ପୋର୍ଟାନ୍ତା

რეცენზენტები: ნ. ხილაშვილი

6. 83060300

© თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, 1990

1805040500

D _____
M 608(06)-90

ସମ୍ବାଦପତ୍ରରେ
୦୯୦୩୬୫୩୦
୩୦୧୯୦୩୦୩୦


შ ე ს ა ვ ა ლ ი

შესხეთ-გავახეთი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ცენტრალურ ნაწილში. ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებების მიხედვით იგი შეიძლება სამ ნაწილად გავყოთ: 1. ახალციხის ქვაბული, რომელიც მდებარეობს მდ. მტკვრის აუზში (სოფ. აწყურის ზემოთ); 2. ჭავახეთის პლატო, რომელსაც უჭირავს სამხრეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილი და 3. მათ ირგვლივ მდებარე ქედების ფერდობები. ამ რაიონში გაერთიანებულია თრიალეთის ნაწილის სამხრეთი კალთა, სმარის ქედის სამხრეთი ნაწილი, ჭავახეთის ქედის დასავლეთი ფერდობი, ერუშეთის ჩრდილოეთი ფერდობი, არსიანის ქედის ჩრდილოეთი ნაწილის აღმოსავლეთი ფერდობი და მესხეთის ქედის აღმოსავლეთი ნაწილის სამხრეთი ფერდობი. ეს რაიონი დასერილია მდინარეთა საკმაოდ ღრმა ხეობებით, რაც ამ მხარის რელიეფს რთულ სახეს აძლევს (სურ. 1).

K 213. 728
 საკვლევი მხარე ყველა მხრიდან შემოფარგლულია ზემოთ ჩამოთვლილი მაღალი ქედებით, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის საქართველოში განვითარებულ ატმოსფეროს ზოგად ცირკულაციას. მთები ასუსტებენ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე განვითარებული ატმოსფეროს დიდი მასშტაბის პროცესების ზეგავლენას და მნიშვნელოვნად აძლიერებს ადგილობრივი ოროგრაფიული ფაქტორების გავლენას.

ქედების გავლენა პირველ რიგში იმაში ვლინდება, რომ აქ დასავლეთიდან წამოსული ნოტიო ჰაერის მასები თავისუფლად ვერ იჭრება, ამიტომ შედარებით მცირე ნალექები მოდის, ამასთან შავი ზღვის თერმულ გავლენას შესხეთის ქედი საკმაოდ ასუსტებს.

შესხეთ-გავახეთის ჰავის შესახებ ცალკე გამოკვლევა უკანასკნელ ხანს არ გამოქვეყნებულა, 1933 წელს ჭავახეთის ჰავა შეისწავლა პროფ. ა. ბალაბუევმა (8), ხოლო მესხეთის ჰავას 1949 წელს იკვლევდნენ დოც. მ. კორძახია და დოც. ე. ნაფეტვარიძე (1). იმხა-



სურ. 1. მესხეთ-ჯავახეთის სქემატური რუკა.



ნად აქ მეტეოროლოგიური სადგურების არცთუ ისე ხშირი ქსეჭირებული იყო, ამასთან დაკვირვების მოქლე რიგი ჰქონდათ და არასაიმშემცირებელი.

ამჟამად მესხეთ-გავახეთში მეტეოროლოგიური სადგურების რიცხვი, შეიძლება ითქვას, საკმარისია (13 მეტეოროლოგიური სადგურის და 18 წვიმსაზომი საგუშავოს მასალა გამოვიყენეთ ამ ნარკვევის შედეგენის დროს), ამასთან აქვთ დაკვირვების საკმაოდ გრძელი რიგი. თითქმის ყველა მეტეოროლოგიური ელემენტი და-მუშავებულია თანამედროვე კლიმატოლოგიაში არსებული მეთო-დების საფუძველზე. ასე, რომ ამ მასალის ანალიზი საშუალებას მოგვცემს წარმოდგენა ვიქონიოთ საკმაოდ რთული ოროგრაფიის მქონე ტერიტორიის პავის თავისებურებაზე.

თ ა ვ ი 1

მესხეთ-ჯავახეთის ჰავის ფორმირების ძირითადი ფაზები

ადგილის ჰავის წარმოქმნაში სამი ძირითადი ფაზტორი იღებს მონაწილეობას: მზის რადიაცია, ატმოსფეროს ცირკულაცია და ქვეფენილი ზედაპირის ხასიათი.

მესხეთ-ჯავახეთის სუბტორპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარეობისა და რელიეფის საკმაოდ დიდი სირთულის გამო, ჰავისშემქმნელ სამივე ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს ფაქტორები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან, ერთდროულად მოქმედებენ და ქმნიან აქაური ჰავის საკმაოდ მრავალფეროვან სახეს.

1.1. მზის რადიაცია

ჰავის ფორმირების ფაქტორებიდან უმთავრესია — მზის რადიაცია, იგი მეორე ფაქტორის ე. წ. ატმოსფეროს ცირკულაციის რთული მექანიზმის გამაპირობებელია. მესხეთ-ჯავახეთის ჰავის ფორმირებაში მზის რადიაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რაც გაპირობებულია, ერთი მხრივ, მისი სამხრეთით მდებარეობით და მეორე მხრივ რელიეფის საკმაოდ დიდი სირთულით.

მესხეთ-ჯავახეთში მზის ნათების ხანგრძლივობა საკმაოდ მაღალია და მისი წლიური სიდიდე 1900—2600 საათს შეადგენს.

ზამთრის თვეებში მზე საშუალოდ 3-4 საათს ანათებს.

ზაფხულის თვეებში 7-9 საათს.



მზის ნათების ხანგრძლივობა უმთავრესად დამოკიდებულია ღრუბლიანობასა და ჰორიზონტის დახურულობაზე, ამის გამო საკვლევი მხარის დასავლეთ ნაწილში, სადაც ღრუბლიანობა შედარებით მაღალია და ჰორიზონტის დახურულობა — დიდი, მზის ნათების ხანგრძლივობა საკმაოდ შემცირებულია მხარის აღმოსავლეთ გაშლილ აღგილებთან შედარებით (ცხრილი 1).

ცხრილი 1.

მზის ნათების ხანგრძლივობა

სადგურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიუ-
აბასთუმანი	93	99	150	163	190	221	241	231	196	161	120	83	1951
როდიონოვკა	142	137	184	204	226	261	293	295	249	205	155	128	2479

საკვლევი მხარის ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლა მდებარეობის გამო (100—1300 მ მაღლა) მზის პირდაპირი რადიაციის ინტენსივობა ჰერპენდიკულარულ ზედაპირზე ყველგან საკმაოდ მაღლია და ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში მერყეობს 1,5—1,6 კალ/სმ წუთში. ეს მახასიათებელი სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდება, რაც შეპირობებულია ატმოსფეროს მასის შემცირებით, რომელშიც მზის სხივებს უქდებათ გავლა, და ჰაერის სისუფთავით.

ჯამური რადიაცია (პირდაპირი და გაბნეული რადიაციის ჯამი) არის დედამიწის მიერ მიღებული სითბოს ძირითადი წყარო. მისი სიდიდე დამოკიდებულია მზის სიმაღლეზე, ატმოსფეროს გამჭვირვალობაზე და ქვეფენილი ზედაპირის ხასიათზე. ამ თვალსაზრისით მესხეთ-ჯავახეთი ხელსაყრელ პირობებში მდებარეობს, ამიტომ მისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში ჯამური რადიაციის წლიური მაჩვენებლები 130—140 კკალ/სმ² წელს შეადგენს, მაღალ-მთიან ნაწილებში იგი წელიწადში 150 კკალ/სმ² აჭარბებს.

მესხეთ-ჯავახეთში მაღალია აგრეთვე რადიაციული ბალანსი. მასასიათებლის სიღიძე განსაზღვრავს უპირატესად მხარის ჰავის თავისებურებას.

აბასთუმნის მონაცემების მიხედვით მისი წლიური ჯამი წელიწადში 44 კკალ/სმ² უახლოვდება. წლის განმავლობაში მხოლოდ იანვრისა, და დეკემბრის თვეშია უარყოფითი. დანარჩენ თვეებში დადებითია, მაქსიმუმს იქნის თვეში აღწევს (ცხრილი 2).

ცხრილი 2

რადიაციული ბალანსი (კკალ/სმ²)

საღური	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
აბასთუმანი	-0.7	1.1	2.4	3.7	7.0	7.6	7.2	7.0	4.8	3.6	1.0	-0.8	43.9

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს ნიაღავის ზედაპირი წლის უმეტეს დროს იღებს საკმაოდ დიდი რაოდენობის სითბოს, განსაკუთრებით წლის თბილ პერიოდში. მცირე ღრუბლიანობა, ჰაერის დიდი გამჭვირვალობა და უტყეობა ხელს უწყობს ეფექტური გამოსხივების გაძლიერებას, რის გამოც ეს მხარე ტემპერატურის წლიური და დღელამური ამპლიტუდის მაღალი მაჩვენებლებით გამოიჩინება.

1.2. ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესები

მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ატმოსფერული პროცესები გაპირობებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით და რთული ოროგრაფიული პირობებით.

საქართველოში ჰაერის მასები უმთავრესად იჭრებიან დასაგლეთიდან და აღმოსავლეთიდან. ამინდის მკვეთრი ცვლილებაც საჭვლევ მხარეში ძირითადად დაკავშირებულია ჰაერის მასების ორივე მხრიდან შემოჭრასთან. აღსანიშნავია, რომ აქაური ამინდის ხასიათი მკვეთრად განსხვავდება საქართველოს სხვა აღგილებში

საქართველოს ტერიტორიაზე მიმღინარე პროცესების ტიპზა-
კია და მათ მიერ განპირობებული ამინდის ხასიათი მოცემულია
ქართველი მკვლევრების: ვ. გიგინეიშვილის, კ. პაპინაშვილის,
ე. ნატარარიძის (11) და სხვათა შრომებში.

1. დასავლეთის
 2. აღმოსავლეთის
 3. ანტიციკლონური მდგომარეობა
 4. აშერქავებისის სამხრეთ რაიონებში განვითარებული ტალ-ლური აღრიცხვის.

ამ ძირითადი პროცესების გარდა საქართველოს ამინდის შექმნაში მონაწილეობს: ჰაერის მასების ორმხრივი შემოჭრა, სამხრეთ-დასავლეთიდან თბილი ფრონტის გადმონაცვლება და კონვექციური პროცესები; ეს უკანასკნელი დამახასიათებელია ძირითადად წლის თბილი პერიოდისათვის. მესხეთ-გავახეთში აღნიშნული პროცესი განსაკუთრებული სიძლიერით გამოირჩევა, რასაც ხელს უწყობს რელიეფის თავისებურება, კერძოდ, ხემცენტრეულობას მოკლებული ახალქალაქის კონცენტრაციის განვითარების გარეშე.

საქართველოში მიმდინარე სინკტიკური პროცესების ინტენ-
სივობა და სიხშირე სეზონების მიხედვით საკმაოდ იცვლება, ზო-
გიერთი მათგანი მხოლოდ რამდენიმე სეზონში ვითარდება, ასე მა-
გალითად, აღმოსავლეთიდან და ასევე ორჩხრივი შემოჭრა ზაფ-

ხულში არასოდეს არ იცის, სამაგიეროდ დასავლეთიდან ჰასები ყოველთვის შეიძლება შემოიჭრას.

ეს პროცესები, ამინდის ხასიათის მიხედვით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამასთან მათი გამეორება (ცხრილი 3) და ინტენსივობა იცვლება, როგორც ტერიტორიის, ისე წლის დროების მიხედვით.

ცხრილი 3

საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადი ფირკულაციური პროცესების
გამოწერა % -ში

სეზონები	პროცესები				
	დას. შემოჭრა	ციკლონი	აღნ. შემოჭრა	ორმხრივი	სამხრეთის ტალღა
ზამთარი	32	22	20	7	19
გაზაფხული	38	14	12	2	34
ზაფხული	54	5	—	—	41
შემოდგომა	34	9	17	5	30

მესხეთ-ჯავახეთის ამინდის შექმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დასავლეთის პროცესი. მართალია, აյ ეს პროცესი ბევრად ნაკლებ ნალექებს იძლევა, ვიდრე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ წლის განმავლობაში მოსული ნალექების დიდი ნაწილი მაინც ამ პროცესთანაა დაკავშირებული. ეს პროცესი მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში აპირობებს ღრუბლიან და ნალექიან ამინდს, ტებერატურა ეცემა, მაგრამ არც ისე ძლიერად, როგორც ამას აღვილი აქვს ჩვეულებრივ მაშინ, როცა დამყარდება ანტიციკლონური

ამინდი. ქარი ძირითადად დასავლეთის რუმბისაა, მაგრამ რელიგიურობისა ფის გავლენით იგი მკვეთრ ცვლილებას განიცდის.

დასავლეთის პროცესი ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე ცივი ფრონტის და ხმელთაშუა ზღვის ციკლონების და მათთან დაკავშირებულ ოკლუზის ფრონტის გადანაცვლების დროს. მესხეთ-გავახეთის დასავლეთით მდებარე ქედების წინააღმდეგობის შედეგად ამ ფრონტების გადანაცვლება ძნელდება, მათი აქტიურობა სუსტდება. ამიტომ მესხეთ-გავახეთის ტერიტორიაზე საგრძნობლად შესუსტებული გადადის. აქ მოსული ნალექების რაოდენობა მცირება, ვიდრე ქედების დასავლეთ ფერდობებზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წლის განმავლობაში მოსული ნალექების მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც ამ პროცესზე მოდის. ერთი შემთხვევას დროს მოსული ნალექების მაქსიმალური რაოდენობა ჩვენს მიერ განხილულ პერიოდში აღინიშნა 1953 წლის 20-26 ნოემბერს, რომლის დროსაც ახალციხეში მოვიდა 36,3 მმ ნალექი. დიდი რაოდენობის ნალექი აღინიშნა ახალქალაქის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით 1951 წლის 25-26 ივნისს (32,8 მმ) და ამავე წლის 29-30 აგვისტოს, როდესაც ნალექების რაოდენობამ ამ დოკუმებში 29 მმ მიაღწია.

დასავლეთიდან არქტიკული ჰაერის მასების შემოჭრა საკვლევ მხარეში იწვევს არა მარტო ნალექების მოსულას, არამედ საგრძნობლად ამცირებს ჰაერის ტემპერატურასაც, თუმცა გამორიცხული არ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ტემპერატურა ეცემა აღმოსავლეთიდან არქტიკული ჰაერის მასების შემოჭრის დროსაც, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1935 წელს (1).

ჰაერის მასების დასავლეთიდან შემოჭრა ხორციელდება აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე ხმელთაშუა ზღვის ციკლონების და მათთან დაკავშირებული ოკლუზის ფრონტის გავლის დროს; ამ შემთხვევებში ნალექების რაოდენობა მნიშვნელოვან სიდიდეს აღწევს, მაგრამ იმდენი არ მოდის, რამდენიც ცივი ფრონტის გავლის დროს.

მესხეთ-გავახეთში წლის განმავლობაში მოსული ნალექების რაოდენობიდან საშუალოდ 200 მმ-მდე ნალექი დასავლეთიდან ჰაერის მასების შემოჭრის დროს გამოიყოფა.

ირანში მანამდე არსებულ თბილი ჰაერის მასის გამყოფ ზედაპირ ზე წარმოიშობა. ორი ფრონტის ერთდროული მოქმედების შედეგად ნალექები თითქმის მთელ საქართველოში მოდის, შედარებით უხვი ნალექები გამოიყოფა სამხრეთ საქართველოში.

აღმოსავლეთის პროცესის ხანგრძლივობა საშუალოდ 5-6 დღე, მაქსიმალური 10 და მეტიც შეიძლება იყოს.

აღმოსავლეთის პროცესი უფრო ხშირია ზამთარში, ნალექი შედარებით მცირე მოდის. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოსული ნალექები მეტად დიდი ინტენსივობით ხასიათდება. მაგალითად, 1950 წლის 19—24 იანვარს პროცესი ექვს დღეს გაგრძელდა. მთელ საქართველოში, მათ შორის მესხეთ-ჯავახეთშიც მნიშვნელოვანი ნალექები გამოიყო. კერძოდ, ახალციხეში 18,1 მმ, ხოლო ახალქალაქში 8,6 მმ ნალექი მოვიდა. მნიშვნელოვანი რაოდენობის ნალექები მოვიდა 1951 წლის 14-15 ოქტომბერს.

აღმოსავლეთის პროცესი უფრო ინტენსიურია გაზაფხულზე, ვინაიდან ამ დროს შემოჭრილი ჰაერის მასების არამდგრადობა შედარებით მაღალია, ამას ისიც ემატება, რომ ქვეფენილ ზედაპირს უკვე საქმაოდ მაღალი ტემპერატურა აქვს, რაც ხელს უწყობს კონვექციური პროცესების განვითარებას.

საქართველოში თავისებური ამინდის ტიპი ყალიბდება ჰაერის მასების დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ერთდროული შემოჭრის დროს. ეს პროცესი მეტად იშვიათია, წელიწადში 1-2 შემთხვევა, აღმოსავლეთის პროცესის მსგავსად უმთავრესად ცივ პერიოდში აქვს ადგილი. ისიც საყურადღებოა, რომ მესხეთ-ჯავახეთისათვის ეს პროცესი ისეთივე ამინდს ქმნის, როგორსაც აღმოსავლეთიდან ჰაერის მასების შემოჭრა. არც ამ პროცესის დროს გამოიყოფა აქ უხვი ნალექები.

მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე მიმდინარე თავისებური სინოპტიკური პროცესების განვითარებას და მათთვის დამახასიათებელი ამინდის პირობებს ქმნის ამიერკავკასიის სამხრეთით განვითარებული ტალღური ალევები, რომლებიც ძირითადად ორმხრივი ან დასავლეთიდან ჰაერის მასების შემოჭრის დამთავრების შედეგ ვითარდება.

სამხრეთში აღრევების განვითარების ორ ძირითად სინოპტიკურ სიტუაციას გამოიყოფენ (11). ერთი, როდესაც რუსეთის ევრო-



საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზაფხულში ხშირდებოდა სავლეთიდან ჰავას მასების შემოჭრა და აგრეთვე, ინტენსურულ ვითარდება ადგილობრივი კონვექციური პროცესებიც, მათი ურთიერთმოქმედების შედეგად ნალექწარმომშობი პროცესები უფრო მძაფრდება, რის შედეგადაც საკვლევ ტერიტორიაზე ამ ჰერიოდში გამოიყოფა უხვი ნალექები.

შედარებით ნაკლებ როლს თამაშობს მესხეთ-ჯავახეთის ამინდისა და ჰავის ფორმირებაში ჰავრის მასების აღმოსავლეთიდან შემოჭრა. ეს პროცესი ვითარდება უმთავრესად კავკასიონის გავლენით. ჩრდილო-დასავლეთიდან ან ჩრდილოეთიდან დაშვებული ცივი ჰავრის მასები უშუალოდ ვერ შემოდის საქართველოში. ცივი ფრონტი ასეთ შემთხვევაში ჩერდება კავკასიონის წინა მთების ზოლში. იმის გამო, რომ რუსეთის ევროპული ნაწილის ტერიტორიაზე ამ დროს გავრცელებული ანტიციპლონის თხემი ეშვება კასპიის ზღვისაკენ, ცივი ფრონტის აღმოსავლეთი ნაწილი კავკასიონის აღმოსავლეთ კიდეზე იღუნება და იწყებს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადანაცვლებას დასავლეთით. ამ პროცესის განვითარებისათვის აუცილებელ პირობად შავი ზღვის რაიონში შედარებით დაბალი წნევის გავრცელებაა საჭირო. ისე, რომ გრადინტი მიმართული უნდა იყოს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

აღმოსავლეთის პროცესი დამახასიათებელია წლის ცივი პერიოდისათვის, ზაფხულში არ იცის (ცხრილი 3), ზამთარში უფრო ხშირია, გაზაფხულზე და შემოღომაზე შედარებით ნაკლებია. აღმოსავლეთის პროცესი, როგორც წესი, ნალექებს იძლევა აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც ჰავრის მასების კონვერგენციის გაძლიერების ხელშემწყობი პირობებია. მაგალითად, ასეთია მდ. ალაზნის ხეობა, თრიალეთისა და გავახეთის ქედის აღმოსავლეთით მიმართული ფერდობები. განსაკუთრებით მცირე ნალექები მოდის ამ პროცესის დროს ახალციხის ქვაბულში და ახალქალაქის პლატოზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმოსავლეთიდან არქტიკული ჰავრის შემოჭრის დროს მესხეთ-ჯავახეთშიც საგრძნობლად ეცემა ჰავრის ტემპერატურა.

აღმოსავლეთიდან შემოჭრილი ცივი ფრონტის დროს არც ისე იშვიათად საქართველოს სამხრეთ რაიონებში ჩნდება სამხრეთის ტალღა, რომელიც შემოჭრილ ცივ ჰავრსა და მცირე აზიაში და



პული ნაწილის ტერიტორიაზე დასავლეთიდან გადმოინაცვლებს ანტიციკლონი ცივი ჰაერის მასით, ხოლო ხმელთაშუა ზღვაზე მასი ირანსა და მცირე აზიაში გავრცელებულია შედარებით დაბალი წნევა თბილი ჰაერის მასით. მეორე, სინოპტიკური სიტუაციის დროს მაღალი წნევის თხემი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენაა მიმართული, ხოლო სამხრეთში ისევ დაბალი წნევაა გავრცელებული. ამ შემთხვევაში ოჩი სხვადასხვა თვისების მქონე ჰაერის მასის გამყოფ ზედაპირზე წარმოიშობა ტალღური აღრევა და აპირობებს მისთვის დამახასიათებელ მინდის ტიპს. პირველი სინოპტიკური სიტუაცია ვითარდება წლის ყველა დროს, მეორე კი წლის ცივ ჰერიონში და დაკავშირებულია უმთავრესად ციმბირის ანტიციკლონთან.

ხშირად სამხრეთის ტალღა ჩრდილო-დასავლეთით ინაცვლებს და უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ხდება მისი ოკლუდირება. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში მოდის უხვი ნალექები. ზაფხულის პერიოდში ამ პროცესის ხშირი თანამგზავრია ჭექა-ქუხილი და სეტყვა, ზამთარში კი ნისლი. შემჩნეულია, რომ უხვი ნალექები მოდის იმ შემთხვევაში, როდესაც სამხრეთის ტალღის მოქმედების დროს ჩრდილო გავქასიაში გადის ცივი ფრონტი.

ზოგჯერ ერთმანეთის მიყოლებით გადის რამდენიმე ტალღა, რასთანაც დაკავშირებულია ამინდის ცვლა; სამხრეთის ტალღის მოქმედებას წლის ყველა დროს ჟევს ადგილი, უფრო ხშირი და ინტენსიურია თბილ პერიოდში, განსაკუთრებით ზაფხულში.

წლის განმავლობაში მოსული ნალექებიდან სამხრეთის ტალღის წილად მესხეთ-ჭავახეთში მოდის 150 მმ-მდე ნალექი.

სამხრეთის ტალღის დროს მოსული ნალექების რაოდენობა მესხეთ-ჭავახეთში ზოგჯერ დიდი ინტენსივობით გამოიჩინება. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოდგენას იძლევა ყველაზე უხვნალექიან დღეებში მოსული ნალექების რაოდენობაზე (ცხრილი 4).

როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, სამხრეთის ტალღის მოქმედება რამდენიმე დღეა, მისი ხანგრძლივობა იმასთანაა დაკავშირებული, თუ რამდენი ტალღა გაივლის ერთმანეთის მიყოლებით.

მესხეთ-ჭავახეთის ამინდის შექმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამხრეთ-დასავლეთიდან გაღმონაცვლებული თბილი ფრონტი.

სადგურები	დრო	ნალექი მმ	დრო	ნალექი მმ	დრო	ნალექი მმ
ახალქალაქი	1950წ.	67.0	1949წ. 3—5	49.0	1951 წ.	53.6
ახალციხე	8—15 მაისი	35.3	აგვის- ტო	74.2	12—18 სექტემბერი	57.5

ტი, რომელიც საკმაოდ ხშირია და წლის ყველა დროისათვის არის დამახასიათებელი. ამ პროცესის დროს საკვლევ მხარეში შედარებით უმნიშვნელო ნალექები მოდის, სამაგიეროდ მას შეიძლება მოყვეს ტემპერატურის მნიშვნელოვანი აჭევა. ეს პროცესი დიდი ხანგრძლივობით არ ხასიათდება, იგი შეიძლება გაგრძელდეს 1-2 დღეს.

მართალია, ამ პროცესის დროს მცირე ნალექი მოდის, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ მას მოჰყვეს უხვი ნალექები. მაგალითად, 1928 წ. 2 თებერვალს აბასთუმანში მოსული 84,7 მმ ნალექი დაკავშირებული იყო სწორედ სამხრეთ-დასავლეთიდან თბილი ფრონტის მოახლოებასთან.

მესხეთ-ჯავახეთის ჰავის თავისებურებაზე, განსაკუთრებით მის ტენის რეჟიმზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონვექციური პროცესები, რომლებსაც საკვლევი მხარის სამხრეთით მდებარეობის გამო მთელი წლის განმავლობაში შეიძლება ჰქონდეთ ადგილი. რა თქმა უნდა, მათი სიხშირე, ინტენსივობა და ეფექტურობა დიდია წლის თბილ პერიოდში და განსაკუთრებით ზაფხულში, როცა დედამიწის ზედაპირი ზედმეტად არის გახურებული.

საქართველოში და კერძოდ მესხეთ-ჯავახეთში კონვექციური პროცესების როლი ნალექების საერთო რაოდენობასა და მის შიდაწლიურ განაწილებაზე დიდია. მისთვის დამახასიათებელია მოკლე დროში საკმაოდ უხვი ნალექების გამოყოფა და ლოკალური ხასიათი. ისინი ჩვეულებრივ, დიდ ტერიტორიას არ მოიცავენ. სა-



გულისხმოა, რომ აქ ზაფხულში მოსული ნალექების რაოდენობის უკავშირობა
30-40% ამ პროცესზე მოდის.

ატმოსფეროს იმ ძირითად ცირკულაციურ პროცესებს, რომ-
ლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მესხეთ-ჯავახეთის ამინ-
დის მსვლელობაზე განსაკუთრებით წლის ცივ პერიოდში, მიეკუ-
თვნება ადგილობრივი ანტიცილონის წარმოქმნა. საკვლევი ტე-
რიტორია ეშირად ამ ანტიცილონების ცენტრში ექცევა. მათი
რიცხვი იმდენად დიდია, რომ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს
წნევის თვიურ სიღიღეზე. ეს მკაფიოდ ჩანს ქვემოთ მოცემულ
მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5

ზღვის დონეზე მიყვანილი ჰაერის საშუალო წნევა მბ-ში

საღგურები	I	IV	VII	X
აბასთუმანი	1025.8	1016.2	1009.6	1021.1
ახალციხე	1025.3	1015.3	1019.4	1020.4
ახალქალაქი	1025.8	1015.3	1009.4	1019.6

ანტიცილონური ამინდის დამახსიათებელია მოწმენდილი
ამინდი, ზაფხულში მაღალი, ხოლო ზამთარში დაბალი ტემპერა-
ტურა. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმები მყარდება ყოველ-
თვის ამინდის ანტიცილონური მდგომარეობის პირობებში რა-
ღიაციული გაციების შედეგად.

ატმოსფეროს ცირკულაციის პროცესების ანალიზიდან ირკვევა,
რომ მათი მოქმედება და ინტენსივობა ცვლება სეზონების მიხედ-
ვით. ეს განსხვავებანი და მათთან დაკავშირებული ამინდის განსა-
კუთრებული პირობები განსაზღვრავენ საკვლევ მხარეში სეზონე-
ბის მიხედვით კლიმატური პირობების თავისებურებას.


ზამთარი. ატმოსფეროს ძირითად ცირკულაციურ პროცე-
სებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მესხეთ-ჯავახე-
თის ამინდის მსვლელობაზე, მიეკუთვნება ჰაერის მასების დასავ-
ლეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოჭრა და მათი დამთავრების
შემდეგ დამყარებული ანტიცილონური მდგომარეობა; ზამთარში

ამიერკავკასიაზე მოქმედი უახლოესი ცენტრი არის ციმბირიძის ან-ტიციპლონი, რომლის თხემი მომართულია დასავლეთით ევროპის და აზიაზე. ამიერკავკასიაზე მასში მოქმედი უახლოესი ცენტრი არის ბათუმის უმთავრესად არქტიკული მასში შემოჭრის ზემოქმედებით. ამასთანაა უმთავრესად დაკავშირებული საქართველოში აღმოსავლეთიდან არქტიკული ჰარავების შემოჭრა, რომელიც უკვე აღვნიშნეთ საკულტურული მხარეში საგრძნობლად დაბლა სწევს პარის ტემპერატურას.

საქართველოში და კერძოდ საკვლევ მხარეში პარის მასების დასავლეთიდან შემოჭრა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ანტიციპლონები ინაცილებენ ისლანდიისა და ნორვეგიის ღერძის მიმართულებით, ხოლო ციკლონები ჩვეულებრივ გადაადგილდებიან რუსეთის ევროპული ტერიტორიის ცენტრალურ რაიონებში. დასავლეთიდან შემოჭრილი პარის მასები ჩვეულებრივ ცივია და იწვევენ მნიშვნელოვან აციებას. საკვლევი მხარის უფრო დასავლეთ ნაწილებში მოდის მნიშვნელოვანი ნალექები, რადგან შემოჭრილი პარის მასები შავი ზღვის თბილ ზედაპირზე გადაადგილებისას ტენით საგრძნობლად მდიდრდებიან.

ზამთრის ტიპურ პროცესს წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვაზე პოლარული ფრონტის სამხრეთით გადანაცლება და შავ ზღვაზე ადგილობრივი ციკლონების წარმოშობა; ეს განაპირობებს საქართველოში ციკლონების ხშირ შემოჭრას, რომლებთანაც დაკავშირებულია ღრუბლიანი და ნალექიანი ამინდი. ციკლონების თბილი სექტემბრის გავლის დროს ტროპიკული პარი საკმაოდ მაღლა წევს პარის ტემპერატურას. ჩვეულებრივ ამ დროს დასავლეთის ქარიშვილის.

ბესხეთ-ჯავახეთის ცირკულაციისათვის ზამთარში დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი მაღალი წნევის არეებს, რომლებიც ამიერკავკასიაში წარმოიშობან უმთავრესად ცივი პარის მასების შემოჭრის დამთავრების შემდეგ. ანტიციპლონის დამყარება აქ ხელს უწყობს ინტენსიურ რადიაციულ გამოსხივებას, რაც იწვევს ნიაღავისა და პარის ქვედა ფენების მნიშვნელოვან გაცივებას. ამას ხელს უწყობს გაშიშვლებული ნიაღავის დიდი ფართობი. სწორედ ამ პროცესთანაა დაკავშირებული ყველაზე დაბალი ტემპერატურები ამ მხარეში. საქართველოს იმავე სიმაღლეზე მდებარე სხვა ადგილებთან შედარებით აქ ზამთარი განსაკუთრებით ცივია.





გაზაფხულის დასაწყისში ამ სეზონისათვეში დამახასიათებელ პროცესებითან ერთად ზამთრის პროცესებიც შემოჭრა თარდებიან. თანდათანობით სუსტდება ციმბირის ანტიციკლონი, ამასთან ცირქულაცია პარალელური გადასვენდა მასების შემოჭრა. სამაგიეროდ მატულობს დასავლეთიდან ჰაერის მასების შემოჭრა. განსაკუთრებით ძლიერდება სამხრეთის ციკლონების მოძრაობა კავკასიისაკენ, რომლებიც ხშირად საქართველოზე ან მის სამხრეთით მოძრაობენ და დიდ გავლენას ახდენენ საქართველოს ამინდის პირობებზე. მათი რიცხვი იმდენად ხშირია, რომ მათ გაზაფხულისათვის დამახასიათებელ პროცესად თვლიან. მათთან არის დაკავშირებული სეზონის ბოლოს ძირითადად ნალექების დიდი რაოდენობა. ამ ჰერიონდში ნალექების სიუხვეს ხელს უწყობს ჰაერის არამდგრადი მდგომარეობის გაძლიერება და სიხშირე.

გაზაფხულის სეზონისათვის ზამთრის მსგავსად დამახასიათებელ პროცესს წარმოადგენს საქართველოში ცივი ჰაერის მასების ორმხრივი შემოჭრა, რომლებთანაც დაკავშირებულია საკვლევ მხარეში ნალექიანი და ღრუბლიანი ამინდი. გაზაფხულზე დაბალი ტემპერატურები და განსაკუთრებით წაყინვები დაკავშირებულია არა შემოჭრილ ჰაერთან, არამედ აღგილობრივ რადიაციულ გადაციებასთან. გაზაფხულის ამინდის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს აშიერკავკასიის სამხრეთით განვითარებული ტალღური აღრევები, რომლებთანაც დაკავშირებულია თავსხმა ნალექები, ჭექა-ჭუხილიანი და სეტყვიანი დღეების მომატება.

ზაფხულში ამიერკავკასიაში ცირკულაციური პროცესები ზაფხულში საგრძნობ ცვლილებას განიცდის. აღმოსავლეთიდან და ორივე მხრიდან ერთდროულად ჰაერის მასების შემოჭრა აღარ ხდება, რადგან ციმბირის ანტიციკლონი იშლება და მის აღგილზე ჩნდება დაბალი წნევის არე. აღნიშნულ სეზონში უფრო ხშირდება დასავლეთის პროცესები, რაც დაკავშირებულია უბირატესად აზორის ანტიციკლონთან. ევროპის კონტინენტზე დაახლოებით $40-50^{\circ}$ ჩრდილო განედებში ზაფხულის განმავლობაში გაბატონებულია ძალალი წნევის არე, რომელიც მოიცავს ხმელთაშუა ზღვის მთელ დასავლეთ ნახევარს, შავ ზღვასა და საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის სამხრეთს (4).



ზაფხულში დასავლეთის შემოჭრა მესხეთ-ჯავახეთში მნიშვნელოვანი ლოგონ ნალექებს იძლევა იმიტომ, რომ ამ შემოჭრების ეფექტურობას ზრდის პერიოდის მასების არამდგრადი მდგომარეობის გაზრდა. დასავლეთის შემოჭრა ხორციელდება განსაკუთრებით სეზონის დასაწყისში, უპირატესად სმელთაშუა ზღვის ციკლონების მეშვეობით, რომელთაც გავლა უხდებათ შავი ზღვის თბილ ზედაპირზე, რაც იწვევს შემოჭრილი პერიოდის მასების ნოტიო არამდგრადი მდგომარეობის მომატებას. ძირითადად ამ პროცესებთანაა დაკავშირებული ზაფხულის პირველ თვეში მნიშვნელოვანი ნალექების რაოდენობა არა მარტო მთელ საქართველოში, არამედ სამხრეთ საქართველოშიც.

ზაფხულის ტიპურ ხასიათს ატმოსფერული პროცესები იღებენ ივლისსა და აგვისტოში. აზორის თხემის ან აზორის მაღალი წევის ბირთვის გადმონაცვლება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, მესხეთში მხოლოდ უმნიშვნელო ნალექებს იწვევს (1). ცალკეულ შემთხვევაში ნალექები შეიძლება სულ არ მოვიდეს, რის გამოც აქ შემოჭრის დამთავრების შემდეგ განსაკუთრებით ცხელი ამინდები მყარდება.

მესხეთ-ჯავახეთის ამინდზე ზაფხულში დიდ გავლენას ახდენს ამიერკავკასიის სამხრეთით განვითარებული ტალღური აღრევები, რომელთა სიხშირე და ინტენსივობა ამ სეზონში ძალიან იზრდება; ამ პროცესის დროს მესხეთ-ჯავახეთში მნიშვნელოვანი ნალექები მოდის, მაგალითად, 1949 წლის 3-5 აგვისტოს, ახალციხეში გამოიყო 74,2, ხოლო ახალქალაქში 49 მმ ნალექი. ამ მხარეში ზაფხული მაინც გვალვიანია, რაც იმის შედეგია, რომ ივლისსა და აგვისტოში ხშირია ანტიციკლონური ამინდის ტიპი, რომელთა ხანგრძლივობა საკმაოდ მაღალია.

ზაფხულში განვითარებული ატმოსფერული პროცესებიდან არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კონვექციური პროცესების გაძლიერებასა და სიხშირეს. რასთანაც დაკავშირებულია შუადღის შემდეგ საათებში ღრუბლიანობის მომატება და ხანმოკლე კოკისპირული წვიმები, რომელთაც თან ერთვის აგრეთვე ჭექა-ჭუხილი და სეტყვა.

შემოდგომის დასაწყისშივე ზაფხულის სეზონისათვის დამახასიათებელი პროცესები სუსტდება და გაძლიერებას იწყებენ ის ცირკულაციური პროცესები, რომელიც გაზაფ-

ხულის განმავლობაში შეწყდნენ. შემოდგომაზე მნიშვნელოვანი მცირდება აზორის მაღალი წნევის ზემოქმედება, საგრძნობლად სუსტდებიან ამიერკავკასიის სამხრეთით მოქმედი ტალღი აღ-რევები. სამაგიეროდ, რამდენადმე ძლიერდება ხმელთაშუა ზღვის ციკლონების ზემოქმედება; ამ პერიოდში მოქმედებას იწყებს ციმ-ბირის ანტიციკლონი; საქართველოში აღმოსავლეთიდან ჰაერის მასების შემოჭრის პროცესები თანდათანობით აღდგენას იწყებს, თუმცა მათთან დიდი ნალექიანობა არ არის დაკავშირებული სამხ-რეთი საქართველოს ტერიტორიაზე. განსაკუთრებით მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში ადგილობრივი ანტიციკლონების და პოლა-რული აუზებიდან გაღმონაცვლებული ანტიციკლონების მოქმედე-ბას. როგორც აღნიშნული იყო, მათთან დაკავშირებულია მშრალი ულრუბლო ამინდის გაბატონება. შემოდგომაზე მესხეთ-ჯავახეთში მნიშვნელოვან ნალექებს იძლევა დასავლეთიდან ჰაერის მასების შემოჭრა. ნალექები უფრო იზრდება მაშინ, როდესაც დასავლეთის პროცესთან ერთად ადგილი აქვს სამხრეთის ტალღის მოქმედებას. დასავლეთის შემოჭრის დამახსაიათებელ შემთხვევას ადგილი ჰქონ-და 1952 წლის 14-15 სექტემბერს. ამ შემოჭრის დროს მესხეთ-ჯავახეთში ყველგან მოდიოდა ნალექი (ახალციხეში 32, ხოლო ახალქალაქში 17 მმ) დასავლეთის შემოჭრის და მასთან ერთად სამხრეთის ტალღის ერთდროული მოქმედების კარგ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 1951 წლის 12-18 სექტემბერს, რომლის დროსაც სამხრეთ მთიანეთში ყველგან წვიმდა, მესხეთის ქედის დასავლეთ კალთებზე ნალექების რაოდენობამ 250 მმ, ხოლო მესხეთსა და ჯავახეთში 60 მმ მიაღწია. (ახალქალაქში მოვიდა 49 მმ).

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შემოდგომით განვითარებული ატმოსფეროს პროცესები ხელს უწყობენ შესხეთ-ჯავახეთში მდგრა-დი უნალექო ამინდის გაბატონებას და გვალვიანი დღეების სიხში-რებს. ამის გამო, მესხეთ-ჯავახეთში, საქართველოს სხვა ადგილებ-ისაგან განსხვავებით, ადგილი აქვს ნალექების მინიმუმს.

თ ა გ ი 2

ჰავის ძირითადი მაჩვენებლების დახასიათება

2.1. ჰავის ტემატურა

მესხეთ-ჯავახეთის ტემპერატურული რეჟიმი, როგორც საერთოდ კლიმატური პირობები, მთელი რიგი დამახასიათებელი ნიშნებით ხასიათდება, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია გეოგრაფიულ მდებარეობასთან, ტერიტორიის რთულ რელიეფთან, რაღაც იულ რეჟიმთან და აქ გაბატონებულ ატმოსფეროს ზოგად და ადგილობრივ ცირკულაციურ პირობებთან.

ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების, ძირითადად რელიეფის თავისებურების გამო აქ ტემპერატურული რეჟიმი დიდი კონტრასტებით ხასიათდება. საკმარისად აღვნიშნოთ, რომ აქ აჩვებული საღვურების მონაცემების მიხედვით საშუალო წლიური ტემპერატურა $9,5^{\circ}$ -დან $1,8^{\circ}$ -მდე მერყეობს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სიმაღლის ზრდით ტემპერატურა ეცემა $0,5^{\circ}$ -ით, ყოველი 100 მ მთების მწვერვალებზე საშუალო წლიური ტემპერატურა აქ უნდა იყოს -2° -ის მახლობლობაში.

როგორც ყველა მთიანი ქვეყნისათვის, ამ მხარის ტემპერატურული რეჟიმისათვისაც, დამახასიათებელია ვერტიკალური ზონა-ლობა. ტემპერატურის გრადიენტი ზამთრის თვეებში შედარებით ნაკლებია, საშუალოდ იგი ტოლია $0,5-0,6^{\circ}$ -ის, ზოგიერთ პლგილის უარყოფითიცაა (მაგალითად, ახალციხე-აპინძა და სხვაგან), რაც ამ პერიოდში განვითარებული ტემპერატურული ინვერსიის შედეგია. გრადიენტი ზაფხულში შედარებით მაღალია, საშუალოდ



0,8°, ე. ი. უახლოვდება ადიაბტურს, ცალკაზ შემთხვევაში მასზე ბევრად მეტია.

ეს მხარე გამოირჩევა ტემპერატურის წლიური ამპლიტუდების სიღილითაც (24—25°), რაც მიუთითებს ამ მხარის კლიმატის კონტინენტურობაზე.

ტემპერატურის შიდა წლიურ განაწილებაზე წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოცემული მე-6 ცხრილი და დამახასიათებელი პუნქტების მიხედვით შედგენილი გრაფიკები (სურ. 6—10).

ცხრილი 6


ჰაერის საშუალო თვიური და წლიური ტემპერატურა

საღვრები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
აბასთუმანი	-5.4	-3.6	0.2	5.8	11.0	14.2	17.2	17.3	13.2	7.8	2.2	-2.7	6.4
ალიგენა	-4.1	-2.6	1.8	7.6	12.5	15.8	18.7	19.0	15.0	9.8	3.9	-1.2	8.0
ახალციხე	-3.8	-1.5	3.2	9.0	14.0	17.2	20.4	20.5	16.3	10.4	4.1	-1.2	9.0
ასპინძა	-2.2	-0.6	3.4	9.0	13.6	17.0	20.0	20.3	15.2	10.6	4.9	0.2	9.4
ახალქალაქი	-7.3	-6.1	2.2	4.4	9.6	12.6	15.4	16.0	12.0	6.9	1.4	-4.2	4.9
ეფრემოვა	-10.6	-9.6	5.9	0.6	6.8	9.8	12.9	13.1	9.4	4.5	1.5	-7.6	1.8

ყველაზე ცივი და ზამთრისათვის დამახასიათებელი თვე არის იანვარი (სურ. 2.); ამ სეზონის სამივე თვის ტემპერატურა მთელ ტერიტორიაზე უარყოფითი ან 0°-თან ახლოსაა. ზამთრის დაბალი ტემპერატურა გაპირობებულია ცივი ჰაერის მასების შემოჭრით როგორც დასავლეთიდან, ისე აღმოსავლეთიდან და ხშირი ანტიციკლონური პირობებით, რომლებთანაც დაკავშირებულია მოწმენდილი ამინდი და დედამიწის ზედაპირის რაღაციული გაციება.

საქართველოში და კერძოდ მესხეთ-ჯავახეთში, ყველაზე ცივი ზამთარი უკნასკნელი სამოცი წლის განმავლობაში იყო 1910-11, 1919-20, 1924-25, 1934-35, 1939-40, 1946-47, 1948-49, 1949-50, 1963-64, 1968-69, 1971-72 წლები.

ყინვიანი დღეების ხანგრძლივობა საკვლევი მხარის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე მერყეობს 90-დან 200 დღემდე, მთიან ნაწილში ზაფხულის თვეებშიც არ არის გამორიცხული დილის ყინ-



სურ. 2. იანვრის იზოთერმება,

ვები (წაყინვები). მაგალითად, 1965 წლის აგვისტოში ექსპედიციაში ყოფნის დროს ეფრემოვკის, მახლობლად ღამით ტემპერატურა 0°-ს ქვევით დაიწია, მიღამო თროვილით იყო დაფარული. ყოფების დაწყების და დამთავრების თარიღებსა და უყინვის პერიოდის ხანგრძლივობის შესახებ მონაცემებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე დიდ გავლენას ახდენს (ცხრილი 7).

ცხრილი 7.

პირველი და უკანასკნელი წაყინვის თარიღები და უყინვის პერიოდის ხანგრძლივობა

სადგურები	წაყინვების თარიღები						უყინვის პერიოდი ხანგრძლივობა /დღეები/		
	უკანასკნელი		პ ი რ ვ ე ლ ი				საშ.	უდიდესი	
	საშ.	ნააღ- რევი	საშ.	ნააღ- რევი	საშ.	ნააღ- რევი			
აბასთუმანი	17/V		2.X				137		
ახალციხე	23 IV	20.III	13.V	20.X	26.IX	12.XI	179	151	214
ასპინძა	20.IV	19.III	13.V	18.X	26.IX	10.XI	180	154	215
როდიონოვა	25.V			21.IX			118		
ახალქალაქი	22.V			16.IX			116		

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, საშუალოდ ყინვები იწყება სექტემბერ-ოქტომბერში, ნააღრევი აგვისტოშია. ყინვები საშუალოდ მთავრდება აპრილ-მაისში. ნაგვიანევი დაკვირვების მასალის მიხედვით ივნისშია აღნიშნული; როგორც აკლიმატიზეთ მთებში ყოველთვისაა იგი მოსალოდნელი.

აბასთუმნის მონაცემების მიხედვით, იანვარში ყველაზე ხშირად, (საშუალოდ 12 დღეს) ჰაერის ტემპერატურა არის —5-დან —10°-მდე, რაც შეეხება დადებით ტემპერატურას 0-დან +5°-მდე საშუალო 2 დღეა.

მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემების მიხედვით ასეთივე მდგომარეობაა ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში.

საკვლევის მხარის ყველაზე დაბალი აბსოლუტური მინიმალური
ტემპერატურა იანვრის თვეშია —29, —41° (ცხრილი 8). 

ცხრილი 8

ჰარის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა

სადგურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლის
აბასთუმანი	-32	-24	-22	-18	-7	-2	1	-1	-8	-13	-22	-27	-32
ალგენი	-31	-21	-20	-13	-5	1	2	1	-6	-10	-22	-25	-31
ახალციხე	-32	-23	-20	-13	-6	-2	2	2	-5	-11	-22	-26	-32
ასანძა	-29	-22	-19	-12	-5	-2	2	2	-5	-10	-18	-24	-29
ახალქალაქი	-38	-33	-27	-22	-10	-3	-3	-3	-9	-15	-26	-33	-38
კარჭახი	-41	-37	-32	-26	-11	-5	-4	-4	-11	-16	-30	-37	-41

ეს მონაცემებიდან ჩანს, რომ აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურის დადგებითი მაჩვენებლები მხოლოდ რაიონის დაბალ ნაწილშია (ზო. დონიდან დაახლოებით 1200 მ სიმაღლემდე). როგორც მ. კორძახია და ე. ნაფეტვარიძე (1) აღნიშნავენ ასეთი დაბალი მინიმუმები მეტად იშვიათია. ასე მაგალითად, ახალციხეში, სადაც რადიაციული გაღაციება ყველაზე უფრო განვითარებულია, 1934-38 წლების განმავლობაში ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმები —20°-ზე დაბლა დაცა 5-ჯერ, ხოლო —25°-ზე უფრო დაბლა 2-ჯერ, აქ უმეტეს წლებში იგი მეტყეობს —16, —19° ცარგლებში.

ზამთრის თერმული რეჟიმის დასახასიათებლად კარგ მაჩვენებლებს წარმოადგენს საშუალო მინიმალური ტემპერატურა და აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურების საშუალო სიღილეები (ცხრილი 9, 10).

ჩვეულებრივ, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურები დგება ცივი ჰაერის მასების შემოჭრის დამთავრების შემდეგ ანტიციკლონური მდგომარეობის პირობებში.

რელიეფის ფორმასა და ქვემდებარე ზედაპირის ხასიათს (მცენარეულობა, თოვლის საფარი) განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ზამთრის ტემპერატურების ტერიტორიულ განაწილებაში. მაგა-

საღვრულება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
აბასთუმანი	-9.8	-8.3	-5.1	-0.2	4.4	7.4	10.6	10.4	6.6	2.0	-2.2	-6.7	0.8
ადგივენი	-7.9	-6.6	-3.3	2.0	6.5	9.6	12.6	12.4	8.8	4.4	-0.3	-4.8	2.8
ახალცხე	-8.2	-6.4	-2.7	2.4	7.4	10.6	13.8	13.6	9.3	4.7	-0.7	-5.5	3.2
ასპინძა	-6.2	-4.8	-2.2	2.8	7.4	10.4	13.4	13.1	9.0	4.4	0.0	-3.9	-3.6
ახალქალაქი	-12.3	-3.1	-7.6	-1.0	3.5	6.0	8.6	8.6	5.0	0.9	-3.6	-9.2	-1.0

Georgo 10

ჰაერის საშუალო აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა

საღვრულები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლის შედეგი
აბასთუმანი	-18	-17	-14	-7	-2	2	5	5	1	-3	-9	-15	-20
ადაგენი	-17	-15	-11	-5	-1	5	7	7	3	-2	-8	-13	-19
ახალციხე	-18	-16	-11	-4	1	5	8	8	3	-2	-8	-14	-20
ასპინძა	-15	-13	-10	-4	1	5	8	8	3	-2	-7	-12	-18
ახალქალაქი	-23	22	-18	-10	-3	0	2	3	-1	-6	-13	-20	-26

ლითად, ასპინძა 116 მ. უფრო მაღლა მდებარეობს, ვიდრე ახალ-ციხე. მიუხედავად ამისა, იანვრის ტემპერატურა პირველში $1,6^{\circ}$ უფრო მაღლია, მეორესთან შედარებით (ცხრილი 6). საკვლევ მხარეში უფრო ცივი ზამთარი იცის, ვიდრე იმავე სიმაღლეზე კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე მდებარე აღგილებში. მაგალითად, ერმანში, რომელიც 7° დონიდან 2240 მ სიმაღლეზე მდებარეობს, იანვრის საშუალო ტემპერატურა არის $-8,8^{\circ}$, მაშინ როდესაც 128 მ უფრო დაბლა მდებარე ეფრემოვკაში ამ თვის საშუალო ტემპერატურა $-10,6^{\circ}$ -ია.

რელიეფი და მცენარეულობა განსაკუთრებულ გავლენას აქდენს აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურების განაწილებაზე. მესხეთ-ჯავახეთში აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა — 41° -ია, მაშინ როდესაც კავკასიონზე მყინვარულ ზონაში (3653 მ სიმაღლეზე ზო. დონიდან), გაზიომილი ტემპერატურა მხოლოდ $—42^{\circ}$ -ია.

ზუმთრის ასეთი დაბალი ტემპერატურის მიუხედავად ამ მხარისა-
თვის ტემპერატურის არც დადგითი ანომალიებია იშვიათი, რაც




უმთავრესად დაკავშირებულია სამხრეთიდან ან სამხრეთ-დასავლე-
თიდან საქართველოში თბილი ჰაერის მასების შემოსვლასთან. ჰაერის განვითარების დროს, ჩვეულებრივ, მცირეა ხოლმე დასავლეთიდან ან აღმოსავლე-
თიდან ცივი ჰაერის შემოჭრა. განსაკუთრებული თბილი ზამთარი
იყო საქართველოში 1914-15, 1940-41, 1947-48, 1952-53, 1954-55,
1957-58 წ.წ. მაგალითად, 1948 წლის ზამთარში იანვრის საშუალო
ტემპერატურა აბასთუმანში იყო 5° -ით მაღალი ნორმაზე, ხოლო
საერთოდ ზამთარი ჩვეულებრივთან შედარებით $3-4^{\circ}$ -ით თბილი
აღმოჩნდა. ამ წლის ზამთარი თბილი იყო საქართველოს მთელ ტე-
რიტორიაზე, მათ შორის მესხეთ-ჯავახეთის უმეტეს ნაწილშიც. ეს
გარემოება მ. კორძახისა და ე. ნაფეტვარიძის (1) აზრით გამოწვეული
იყო იმით, რომ აზორის ანტიციკლონი სამხრეთისაკენ იყო ძლიერ
დაწეული და მისი ზემოქმედება მნიშვნელოვნად ჭარბობდა. დასავ-
ლეთიდან გადმონაცვლებული მაღალი წნევის არე პოლარული ჰაე-
რის მასებში ამიერკავკასიაში იწვევდა ხანგრძლივად თბილ პერიოდს,
რომელიც დროგამოშვებით წყდებოდა ხმელთაშუა ზღვის ციკლონე-
ბის გავლით, რომლებთანაც დაკავშირებული იყო თბილი ჰაერის
მასების შემოდგნა სამხრეთიდან.

სამხრეთ საქართველოში უთბილესი თვე ყველგან ივლისია (სურ.
3). დაახლოებით ზღვის ღონიდან 1200 მ სიმაღლემდე ამ თვის ტემ-
პერატურა მერყეობს $19-20,5^{\circ}$ ფარგლებში, 2000 მ სიმაღლემდე
 $15-20^{\circ}$, ხოლო უფრო მაღლა მხოლოდ ზაფხულის ორი თვის ტემ-
პერატურა არის 10° -ზე მაღალი, თხემურ ნაწილებშია 10° -ზე და-
ბალი. ასეთი ტემპერატურები იმაზე მიუთითებს, რომ მხარის მნიშვ-
ნელოვან ნაწილში შეიძლება ხემცენარეულობის გავრცელება. რო-
გორც ცნობილია, ამ მხარის დიდი ნაწილი უტყეოა, რაც იმის შედე-
გია, რომ უცხოელმა დამპყრიბლებმა გასულ საუკუნეებში ხშირი შე-
მოსევების დროს ტყე გაჩეხეს, ამჟამად მათ აღდგენაზე სახელმწი-
ფო დიდ თანხებს ხარჯავს და უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში საკ-
მაო წარმატებებია მიღწეული.

საშუალო დღელამური ტემპერატურა, მესხეთ-ჯავახეთის დაბალ-
ნაწილში აპრილის შუა დეკადიდან საშუალოდ 5° აღემატება. დანარ-
ჩენ ტერიტორიაზე კი აღნიშნული ტემპერატურა მასის შუა რიცხ-
ვებიდან იწყება. შემოდგომაზე ტემპერატურა აღნიშნულ სიღიღეზე

დაბლა იწევს დაახლოებით 2000 მ სიმაღლემდე ოქტომბრის თვეში.
საშუალო დღელამური ტემპერატურა ჩვეულებრივ 10° -სს აღემატება.



სურ. 3. ივლისის იზოთერმები.



შხარის დაბალ ნაწილში მაისის, ხოლო მაღალმთიან ნაწილში დაწირებული სის პირველი დეკადიდან, ამ სიდიდეზე დაბლა ეშვება შესაბამის სექტემბერ-ოქტომბერში. ამრიგად, სავეგეტაცია პერიოდი არ არის ხანგრძლივი ყველგან. 10° -ზე ზევით ტემპერატურათა ჯამები ტერიტორიის დაბალ ნაწილში მერყეობენ 2000 — 3000° , ხოლო ზღ. დონი-ლან 2000 მ სიმაღლემდე 1000 — 1500° შორის, უფრო ზევით მასზე ბევრად ნაკლებია. ამ მონაცემების სიდიდესა და მათ ტერიტორიულ განაწილებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ის კარგად ახასიათებს წლის თბილი პერიოდის თერმულ რეჟიმს და წარმოადგენს დიდი მნიშვნელობის სითბურ რესურსს.

მკაცრი ზამთრების მიუხედავად მესეთ-გავახეთში ზაფხული ცხელი იცის, რაც სამხრეთით მდებარეობა და უტყეობა განაპირობებს. აქ ცალკეულ დღეებში ტემპერატურა საკმაოდ მაღალია. ჰაერის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა 20 — 28° -მდე აღის, რაც შეეხება აბსოლუტურ მაქსიმალურ ტემპერატურას, ტერიტორიულად ასეა განაწილებული (ცხრილი 11).

ცხრილი 11

ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა

საღვრულები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
აბასთუმანი	13	15	24	28	30	34	36	37	35	30	22	17	37
ალგენი	13	15	24	28	31	34	36	36	35	24	24	15	36
ცხალციხე	15	18	27	30	34	37	38	39	36	33	26	17	39
ასპინი	15	18	25	30	32	35	38	39	37	32	25	16	39
ახალქალაქი	10	13	20	24	28	29	31	34	32	28	22	15	34

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, აქ აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა 39° -ია. ასეთივე სიდიდე იღნიშნულია საკვლევ მხარეზე ბევრად დაბლა მდებარე შიდა კახეთში. საქართველოსათვის ეს მახასიათებელი ამ სიდიდეზე ბევრად მაღალი არ არის (43°).

დღის საათებში ასეთი მაღალი ტემპერატურების მიუხედავად, როგორც კონტინენტური ჰაერისათვისაა დამახასიათებელი, ღამე საკმაოდ დაბლა იწევს ტემპერატურა, რაც ნიადაგის ძლიერი გამოსხივების შედეგია. აქ აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ზაფ-

ხულში მხოლოდ დაბალ ნაწილშია დაღებითი, სხვაგან ყველა თვეში უარყოფითია.

ტემპერატურის დღელამური ამპლიტუდა აბასთუმნის მონაცემებით ზამთარში 7-9, ხოლო ზაფხულში 12—14°-ია. მართალია, ეს მთელი ტერიტორიისათვის არ არის დამახასიათებელი, მაგრამ ეს იმაზე მიუთითებს, რომ საკვლევი ტერიტორია წლიური ამპლიტუდების მსგავსად მაღალი დღელამური ამპლიტუდებით ხასიათდება.


ზაფხულის ამინდის ხასიათი ძირითადად შეპირობებულია აზორის ანტიციკლონის გადმონაცვლებით აღმოსავლეთით. ამ დროს მისი ღერძი სამხრეთითაა დაწეული და ხშირად გადის ამიერკავკასიის ტერიტორიიაზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამიერკავკასიის სამხრეთით განვითარებულ ტალღურ აღრევებს და კონვექციურ პროცესებს.

2.2. ჩარი

ქარის რეჟიმზე, განსაკუთრებით მიმართულებაზე და მის ტერიტორიულ განაწილებაზე მესხეთ-ჯავახეთში, როგორც ყველა მთიან ქვეყანაში, დიდ გავლენას ახდენს თაგისებური რელიეფის პირობები. აქ ქარის ძირითადი მიმართულებანი თანხვდენილია მდინარეთა ხეობების მიმართულებას. რელიეფის თაგისებურების მიხედვით გამოიჩინა ახალციხის ქვაბული და ჭავახეთის პლატო; პირველი ჩაკეტილია ქედებით, მეორე შედარებით გაშლილია, რაც ქარის რეჟიმს განსაკუთრებულ ხასიათს ანიჭებს.

ახალციხის ქვაბულის სხვადასხვა ნაწილში განსხვავებული მიმართულების ქარებია გაბატონებული. წლის განმავლობაში (სურ. 4.). მათი მიმართულება თანხვდენილია ხეობების მიმართულებისა. მაგალითად, აბასთუმნის მონაცემებით, მდინარე ოცხეს ხეობაში, რომელიც მესხეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე მოედინება და თათქმის მეტიდიანული მიმართულება აქვს, გაბატონებულია სამხრეთის (34%) და ჩრდილოეთის ქარი (31%), კარგად არის განვითარებული სამხრეთ-დასავლეთის (13%) და ჩრდილო-აღმოსავლეთის (8%) ქარი. დანარჩენი მიმართულების ქარების განმეორება უმნიშვნელო. მაგალითად, დასავლეთის მიმართულების განმეორება მხოლოდ 1%-ია.

სრულიად საწინააღმდეგო სურათია მდ. ქვაბლიანის ხეობაზე რომელიც მოემართება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. აღიგენის მონაცემებით გაბატონებულია დასავლეთის (44 %) და ჩრდილო-დასავლეთის (34 %) ქარი, დანარჩენი მიმართულებების განმეორება



სურ. 4. წლიური ქართანაკვთა:

უმნიშვნელოა (1-2%). ქვაბულის ძირში ქარის რეჟიმი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, უფრო რთულია. აქ რომელიმე გაბატონებული მიმართულება არ არის მკვეთრად გამოხატული. ხშირია დასავლეთის (20 %), სამხრეთ-დასავლეთის (18 %), აღმოსავლეთის (17 %) და ჩრდილო-აღმოსავლეთის (16 %) მიმართულებები. სხვა რუმბის განმეორება იცვლება 5-11 %-ის ფარგლებში. ქვაბურის აღმოსავლეთ ნაწილში გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთის (31 %) და სამხრეთ-აღმოსავლეთის (27 %) მიმართულების ქარები.

კავახეთის პლატოზე შედარებით სხვანაირი სურათია, თუმცა კავახეთის აქაც ქარის გაბატონებული მიმართულება იმაზეა ღამოყიდებული, თუ დაკვირვების პლექტი როგორ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში მდებარეობს.

პლატოს ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში წლის განმავლობაში გაბატონებულია სამხრეთ-აღმოსავლეთის (28 %) და ჩრდილო-დასავლეთის (20—24 %) მიმართულების, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში სამხრეთის (32 %) და აღმოსავლეთის (18 %) მიმართულების ქარები. პლატოს ამ ნაწილში შედარებით ჩშირია აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ქარები.

გაბატონებული ქარები ადგილობრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გავლენით ხშირ შემთხვევაში იჩენენ მთა-ხეობათა ტიპის ხასიათს, მიმართულების პერიოდული ცვალებადობით ღლე-ღამის განმავლობაში.

ქარის საშუალო წლიური სიჩქარე მესხეთ-ჯავახეთში ყველან ერთნაირი არ არის, ახალციხის ქვებურში იგი მცირეა და ტერიტორიის დიდ ნაწილში 2,0—2,5 მ/წმ არ აღემატება. ჩაც შეეხება ჯავახეთის პლატოს, აქ ქარის სიჩქარე შედარებით მაღალია და დაკვირვების მასალების მიხედვით 4 მ/წმ აღწევს (ცხრილი 12). სიჩქარე უფრო მეტია გაშლილ მაღალ ადგილებში. ქარის მაქსიმალური საშუალო სიჩქარე ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში ზამთრის თვეებშია, განსაკუთრებით ქარიანია იანვარი. შედარებით სუსტი ქარი იცის გაზაფხულისა და შემოდგომის თვეებში.

ცხრილი 12.

ქარის საშუალო სიჩქარე (მ/წმ)

სადგურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
აბასთუმანი	0,6	0,7	0,8	0,7	0,6	0,7	0,8	0,8	0,6	0,5	0,4	0,5	0,6
აღიგენი	2,1	2,3	2,2	2,6	2,3	1,8	2,0	2,1	2,2	2,2	2,2	2,1	2,2
ახალციხე	1,4	1,6	1,9	2,1	1,8	1,6	1,9	1,8	1,5	1,3	1,1	1,1	1,6
ასპინძა	2,6	2,8	2,8	2,4	2,0	1,6	2,0	1,8	1,4	1,2	1,3	1,8	2,0
როდონიკვე	4,9	5,5	4,2	3,8	3,4	3,3	3,8	3,6	3,2	3,5	4,1	4,4	4,0
ახალქალა	3,7	3,7	3,8	3,6	3,1	2,7	2,7	2,2	2,1	2,7	3,2	3,2	3,0

ქარის სიჩქარის დღელამურ მსვლელობაში შეინიშნება შისი გამოცხადი ლიერება დღის მეორე ნახევარში, შედარებით სუსტი ქარი იცის ზოგადობის სათხებში.

მესხეთ-ჭავახეთში ძლიერი ქარები (როცა ქარის სიჩქარე 15 მ/წმ მეტია) საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით მცირება. შედარებით მეტია ძლიერი ქარებიანი დღეების საშუალო რიცხვი ჭავახეთის პლატოზე, სადაც იგი 14 დღეს აღწევს წელიწადში (ცხრილი 13). ასეთი დღეები მეტია ზამთარში.

ცხრილი 13

საშუალო დღეთა რიცხვი ძლიერი ქარებით

საღურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიწ.
აბასთუმანი	0,0	0,0	0,03	0,1	0,2	0,0	0,05	0,06	0,08	0,03	0,03	0,03	1
ადიგენი	1,2	1,6	1,3	1,6	1,3	0,0	0,3	0,6	0,9	0,8	0,4	0,6	11
ახალციხე	0,3	1,0	1,1	1,2	1,0	0,4	0,4	0,9	0,3	0,6	0,2	0,3	8
ახალქალაქი	2,0	1,7	2,0	1,4	1,2	1,4	0,5	1,4	0,5	0,3	0,5	1,3	14

როგორც მე-13 ცხრილიდან ჩანს, საშუალო რიცხვი ძლიერი ქარიანი დღეებისა ყველაზე მეტი ახალქალაქის რაიონშია: ეს გასაგებიცაა, რადგან იგი შედარებით გაშლილ აღგილას მდებარეობს ჭავახეთის პლატოს ცენტრალურ ნაწილში, ცალკეულ წლებში რა თქმა უნდა ბევრად უფრო მეტია ძლიერი ქარიანი დღეები, ამ მხრივაც ეს ადგილები გამოიჩინა. ახალქალაქის მონაცემებით ძლიერი ქარიანი დღეების მაქსიმალური რაოდენობა 49-ს შეადგენს.

სხვადასხვა ალბათობის ქარის უდიდესი სიჩქარე სამხრეთ საქართველოში ასეთია: 5 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია 18-25 მ/წმ, 15 წელიწადში ერთხელ 22-33 მ/წმ, 20 წელიწადში ერთხელ 25-34 მ/წმ. ყოველ წელს ქარის მაქსიმალური სიჩქარე შეიძლება იყოს 10-23 მ/წმ. ისე, რომ ამ მხარეს საქართველოს სხვა ადგილებთან შედარებით ქარის სიჩქარის მიხედვით, საშუალო მდგომარეობა უკავია.

მხარის დასავლეთ ნაწილებში დასავლეთის და ჩრდილო დასავლეთის ქარებია ძლიერი, იღმოსავლეთ ნაწილში იღმოსავლეთის და ჩრდილო-იღმოსავლეთის.

ჰაერის სინოტივე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კლიმატური ელე-
 მენტია, ამიტომ ბუნებრივია მისი კლიმატური შესწავლის დიდი ინ-
 ტერესი. უკანასკნელ წლებში საქართველოსთვის გამოქვეყნდა ახა-
 ლი სტატისტიკური მასალები ჰაერის სინოტივის მახასიათებლების
 შესახებ, რაც მოითხოვს მეცნიერულ ანალიზს. ამ შრომას საფუძვ-
 ლად დაედო მესხეთ-გავახეთში მომქმედი რვა მეტეოროლოგიური
 სადგურის 1936-65 წლების დაკვირვების მასალა. ცალკეულ შემთხ-
 ვევებში ზოგიერთი სადგურისათვის აღებულია უკანასკნელი წლების
 მონაცემები.

ჰაერის სინოტივის ტერიტორიული განაწილება და მისი წლიური
 მსვლელობა დამოკიდებულია რელიეფის ფორმაზე, ქედების ექს-
 პოზიციაზე, ატმოსფერული პროცესების თავისებურებაზე, ნალექე-
 ბზე, ნიადაგის ჩასათხე და სხვ. იმის გამო, რომ მესხეთ-გავახეთი
 საკმაოდ რთული ოროგრაფიული პირობებით ხასიათდება, ამ ელე-
 მენტის ზოგიერთი მახასიათებლის წლიურ, დღელამურ და ტერიტო-
 რიულ განაწილებაში კანონზომიერების დადგენა საკმაოდ ძნელია.

ჰაერის სინოტივის სამი ძირითადი მახასიათებელია მხარის კლი-
 მატის დასახასიათებლად საინტერესო, ესაა: წყლის ორთქლის დრე-
 კალობა, შეფარდებითი სინოტივე და სინოტივის დეფიციტი.

წყლის ორთქლის დრეკადობა მესხეთ-გავახეთის ტერიტორიაზე,
 წლიური მაჩვენებლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 6-9 მბ ფარგ-
 ლებში იცვლება. როგორც წესი, ეს მახასიათებელი ჰაერის ტემპე-
 რატურაზე არის დიდად დამოკიდებული, რადგან მის მსვლელობას
 იმეორებს. იგი სიმაღლის მიხედვით მცირდება, თუმცა გრადიენტი
 უმნიშვნელოა. ზღვის დონიდან 900 მ სიმაღლეზე წყლის ორთქლის
 დრეკადობა 9 მბ-ის მახლობლობაშია, ხოლო 2200 მ სიმაღლეზე 6 მბ
 შეადგენს.

წყლის ორთქლის დრეკადობის წლიური მსვლელობა მარტივია,
 მინიმუმი ყველგან იანვარშია და იცვლება 3,0-3,8 მბ შორის (ცხრი-
 ლი 14).

წყლის ორთქლის დრეკადობა გაზიარებულის თვეებისაკენ თანდა-
 თანბით მატულობს, ივლისის თვეში მაქსიმუმს აღწევს. ეს დაკავ-
 შირებულია იმასთან, რომ ამ პერიოდში მხარის მთელი ტერიტორია

წყლის ორთქლის დრეკადობა (მმ)

საღვრულები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლის-
აბასთუმანი	3.7	3.9	4,5	6,4	9.4	11.9	14.1	13.4	10.6	7.8	6.1	4.5	8.0
ადგიგენი	3.8	4.1	4.8	6.4	9.2	12.0	13.9	13.4	10.9	8.0	6.2	4.5	8.1
ანალიზე	3.8	4.2	5.2	7.1	10.3	12.9	15.1	14.5	11.6	7.4	6.4	4.5	8.7
ასპინძა	3.6	3.8	4.6	6.5	9.6	12.3	14.5	13.8	11.2	8.0	6.2	4.	8.2
ახალქალაქი	3,0	3.4	4 1	5,9	8-3	10.7	12.8	12.0	9.4	6.9	5.3	3.8	7.1

იღებს მზის ენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს. როგორც ცნობილია, რაც უფრო მაღალია ტემპერატურა მით მეტი წყლის ორთქლი იმყოფება ჰაერში. ამ თვეში წყლის ორთქლის დრეკადობა მხარის დაბალ ნაწილებში 15 მმ სჭარბობს, ხოლო ზედა ნაწილებში 13,0 მმ უახლოვდება.

წყლის ორთქლის დრეკადობის ზრდა გაზიაფხულის თვეებისაკენ თანდათანობით ხდება, ასე მიმდინარეობს მისი შემცირება შემოდგომისა და ზამთრის თვეებისაკენ. მკვეთრ მატებას ადგილი აქვს აპრილში და მაისში, ხოლო დაცემას სექტემბერ-ოქტომბერში.

წყლის ორთქლის დრეკადობის წლიური ამპლიტუდა მხარის დაბალ ნაწილში 10-11 მმ-ია, სიმაღლეზე მისი სიღიღე მცირდება და 2000 მ სიმაღლეზე 9 მმ უახლოვდება, უფრო მაღალ აღგილებში 5-6 მმ ტოლი უნდა იყოს.

საკვლევ მხარეში წყლის ორთქლის დრეკადობის დღეღამური მსვლელობა კონტინენტური ტიპით ხასიათდება, ე. ი. აქვს ორი მინიმუმი და ორი მაქსიმუმი. პირველი მინიმუმი დგება დილის საათებში, მეორე — ნაშუადღევს. პირველი მაქსიმუმია 9-10 საათზე, მეორე — საღამოს საათებში. ნაშუადღევის მინიმუმის დაღვიმაკარგად არის გამოხატული წლის თბილ პერიოდში; ამის მიზეზი ამ საათებში ჰაერის აღმავალი დინების გაძლიერებაა.

წყლის ორთქლის დრეკადობის დღეღამური მსვლელობის საორიენტაციოდ ვიძლევით ოთხვადიანი დაკვირვების მასალებს (1,7, 13 და 19 საათი). ზამთარში დღეღამური მსვლელობა სუსტად არის გამოხატული, მაქსიმუმი დგება დღის საათებში (13 საათზე), მინიმუმი მზის ამოსვლის წინ (7 საათზე). ზამთარში დღეღამური



ამპლიტუდა უმნიშვნელოა, ტერიტორიულად ირყევა 0,5—1,5 მეტრის შორის. წლის თბილ პერიოდში დღელამური მსკლელობა უფრო კარგად არის გამოხატული. მაქსიმუმი დაბალ ნაწილში დგება საღამოს საათებში (19 საათი), ხოლო მინიმუმი 1 ან 7 საათზე. მაღალმომან ნაწილში მაქსიმუმი ყველაგან დღის საათებშია (13 საათზე). დღელამური ამპლიტუდა ივლისში ტერიტორიულად იცვლება 0,5-2,0 მმ შორის (ცხრილი 15).

წყლის ორთქლის ისეთი მაღალი მაჩვენებლები (15 მმ მეტი) საკვლევ მხარეში თითქმის არ იცის, ასე, რომ ეს მხარე შეხეული დღეებისაგან (როცა აღამიანს სუნთქვა უჭირს) თავისუფალია. ამ მახასიათებელს დიდ ყურადღებას აქცევენ იმისათვის, რომ ასეთ დღეებში არა მარტო ავადმყოფები, არამედ ჯანმრთელი აღამიანებიც თავს ცუდად გრძნობენ.

ცხრილი 15

წყლის ორთქლის დრეკადობა დღედამის სხვადასხვა საათებში

საღურები	საათები	თ ვ ე ბ ი						
		I	III	V	VII	IX	XI	წლიური
ახალციხე	1	3.7	5.0	9.9	14.8	11.4	6.2	8.4
	7	3.5	4.9	10.1	15.0	11.2	5.8	8.4
	13	4.2	5.4	10.4	15.3	11.8	7.0	8.9
	19	3.9	5.3	10.7	15.4	12.0	6.7	8.9
ახალქალაქი	1	2.8	3.7	8.0	12.3	9.3	5.2	6.9
	7	2.8	3.8	8.4	12.9	9.3	5.0	7.0
	13	3.4	4.5	8.2	13.0	9.1	5.6	7.3
	19	3.1	4.3	8.6	13.2	9.8	5.4	7.3

შეფარდებითი სინოტივე მესხეთ-ჯავახეთში, მიუხედავად იმისა, რომ აქ ნალექები არც თუ ისე ბევრი მოდის, არც ისე დაბალია. წლიური მაჩვენებლების მიხედვით იგი ტერიტორიულად 64—79% ფარგლებში იცვლება. შეფარდებითი სინოტივის სიმცირით გამოიჩინა. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ახალციხის ქვაბული (ცხრილი 16). დაახლოებით ზღვის დონიდან 1200 მ სიმაღლის ზევით საკმაოდ სწრაფად მატულობს იგი და 2000 მ სიმაღლეზე 80% უახლოვდება. ეს იმდენივე, რამდენიცა დასავლეთ საქართველოს შიდა მდინარეების მარტივი განვითარების მიზანის მიხედვით არ გვიჩვლავთ, რომ ამავე მატულობის განვითარების მიზანის მიხედვით არ გვიჩვლავთ.



ველოს შავი ზღვისპირა საქმაოდ უხვნალექიან რაიონებში. ჰაერუსტულობა ასეთი მაღალი გაყდენთილობა ამ ჰერიონდში უნდა აიხსნას ზამთრის დაბალი ტემპერატურებით.

ცხრილი 16

ჰერის შეფარდებითი სინოტივე (%)

საფარები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიუნი
აბასთუმანი	83	8	73	72	73	74	73	72	76	78	83	84	77
ალევინი	75	73	70	62	64	67	65	64	67	70	75	75	69
ახალციხე	75	74	69	65	66	63	64	63	63	71	75	78	69
ასპინძა	61	62	67	60	63	55	61	62	63	68	71	65	61
ახალქალაქი	76	77	76	70	70	73	73	68	69	72	75	76	73

შეფარდებითი სინოტივის წლიური მსვლელობა საკვლევ რაიონში ატარებს უმეტესად კონტინენტურ ხასიათს, ზამთრის თვეებში ჰაერი უფრო გაუღენთილია წყლის ორთქლით, ვიდრე ზაფხულში. გამონაკლისია მესხეთ-გავახეთის ცენტრალური ნაწილის ზოგიერთი ადგილი. ეს კანონზომიერება დარღვეულია აბინძის მონაცემებით. ჩვენი ბზრით, ეს გარემოება დაკვირვების მოკლე რიგით უნდა იყოს გამოწვეული.

შეფარდებითი სინოტივის დღეღამური მსვლელობა ჰაერის ტემპერატურის და წყლის ორთქლის დრეკადობის მსვლელობის შებრუნებულია. მთელი წლის განმავლობაში შეფარდებითი სინოტივის მინიმუმი შუადღის საათებშია. ზამთარში ტერიტორიულად მისი სიდიდე იცვლება 52-83%, ხოლო ზაფხულის თვეებში 42-61% შორის. დღეღამური ამპლიტუდა ზამთარში საქმაოდ დაბალია (8-32%), ზაფხულში მაღალი (17-40%). შემოდგომაზე დღეღამური ამპლიტუდა განსაკუთრებით მაღალია რაიონის დასავლეთიში (საშუალოდ 40%).

დიდი კლამატური მნიშვნელობა აქვს შეფარდებით სინოტივეს 13 საათზე. ჰაერის ტემპერატურასთან ერთად იგი განსაზღვრავს სავეგეტაციო პერიოდის პიღროთერმულ პირობებს (ცხრილი 16).

როგორც მე-17 ცხრილიდან ჩანს, შეფარდებითი სინოტივე 13 საათზე მთელ ტერიტორიაზე მაღალია ზამთარში (62-83%) და დაბალი ზაფხულში — (48-61%).

შეფარდებითი სინოტივე 13 საათზე (%)*

სადაურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლის
აბასთუმანი	64	61	54	45	48	51	50	45	47	51	61	64	53
ახალციხე	62	50	52	45	46	47	46	43	45	50	59	63	51
ახალქაშვილი	70	69	67	55	11	55	53	45	44	51	60	66	57
ეცრემბავა	83	81	79	65	57	61	61	60	48	57	70	80	66

შეფარდებითი სინოტივის საშუალო მაჩვენებლების გარდა დილი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დაბალი (მშრალი) და მაღალი (ნოტიო) სინოტივის მქონე დღეების რაოდენობის დაგენას. საკვლევ მხარეში მშრალი (როცა დაკვირვების ნებისმიერ დროს შეფარდებითი სინოტივე 30% ტოლია ან ნაკლები) დღეები კონტინური კლიმატური პირობების მიუხედავად ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში დიდი არ არის, საშუალო წლიური მონაცემების მიხედვით მაღალმთიან ადგილებში იგი 8-17 დღეს შეადგენს, დაბალ ადგილებში ის შედარებით მნიშვნელოვანია და 40 დღეს აღემატება. ყველაზე მეტია ასპინძის მიღამოებში (43 დღე). როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთი დღეები ნაკლებია ცივ პერიოდში (0,1-1,0 დღე) და მეტი — თბილ პერიოდში (1-8 დღე). მშრალი დღეები განსაკუთრებით მცირეა ზღ. დ. 2000 მ სიმაღლის ზევით. როდიონოვკას მონაცემების მიხედვით, რომელიც ზღვის დონიდან 2100 მ სიმაღლეზე მდებარეობს, წლის განმავლობაში მშრალი დღეების რაოდენობა საშუალოდ 8-ს შეადგენს.

საკვლევ მხარეში ისეთი ნოტიო დღეები, როცა შეფარდებითი სინოტივე 13 საათზე 80%-ზე მეტია, ტერიტორიულად იცვლება დიდ ფარგლებში (20-110 დღე). იგი მცირეა ახალციხის ქვაბულში, ხოლო მაღალ მთიან ნაწილში მატულობს. ასეთი დღეები ხშირია ზამთარში.

ცალკეულ წლებში როგორც მშრალი, ისე ნოტიო დღეები საკმაოდ იხრება საშუალო რიცხვიდან. მშრალი დღეები ხშირია მაშინ, როდესაც მყარდება მაღალი წნევის არე კონტინენტური ტროპიკული ჰაერის მასებით; რომელიც ტრანსფორმირებულია პოლარული ჰაერის მასებიდან. ასეთი სინოპტიკური პირობები ხორცი-



ულდება დასავლეთიდან ჰაერის მასების შემოჭრის შემდეგურებული რიცხვში.

სინოტივის მეტად მნიშვნელოვანი მახასიათებელია სინოტივის დეფიციტი. იგი ამავე დროს მნიშვნელოვანი კლიმატური მახასიათებელია. მისი ტერიტორიული და სეზონური განაწილება იმავე ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებზეა დამოკიდებული, რაზეც წყლის ორთქლის დრეკადობა და შეფარდებითი სინოტივე. სინოტივის დეფიციტი განსაზღვრავს მცენარეთა სამოსელის ხასიათს, მასზე არის დამოკიდებული აორთქლების ინტენსივობა. იგი უჩვენებს რა რაოდენობის ტენი აკლია ჰაერს სრულ გაჯერებამდე, ე. ი. ჰაერის სიმშრალის კარგი ინდიკატორია.

ზამთარში მაღალი შეფარდებითი სინოტივის და დაბალი ტემპერატურების გამო სინოტივის დეფიციტის მინიმალური მაჩვენებლები გვაქვს. იანვარში მისი საშუალო სიღიდეები იცვლება 0,4-დან 2,5 მბ-ს შორის (ცხრილი 18).

ცხრილი 18

სინოტივის დეფიციტი (მ)

სა მარეგი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლის
აბასთუმანი	0,9	1.2	1.8	3.5	4.7	5.3	6.7	7.2	5.1	3.2	1.6	1.0	3.5
ალექსი	1.3	1.6	2.4	4.9	6.3	7.2	8.8	9.1	6.8	4.4	2.4	1.6	4.7
ახალციხე	1.4	1.7	2.6	5.2	6.7	8.0	9.9	10.3	7.6	4.6	2.4	1.6	5.2
ასპინძა	2.5	2.6	3.4	5.6	7.1	8.2	10.0	10.6	7.5	4.6	2.9	2.6	5.6
ახალქალაქი	1.0	1.1	1.4	3.2	4.5	5.0	6.2	7.2	5.8	3.6	2.2	1.3	3.6
ეფრემოვკა	0.4	0.6	0.7	1.6	3.2	3.7	4.2	5.4	4.1	2.6	1.2	0.6	2.4

სინოტივის დეფიციტი ზაფხულის თვეებისაკენ იზრდება და უდიდეს მაჩვენებლებს აღწევს აგვისტოს თვეში (5,4-10,6 მბ). წლიური ამპლიტუდა იცვლება 5-8 მბ შორის. ზამთარში იგი საკმაოდ დაბალია, ზაფხულში — მაღალი. დღელამური ამპლიტუდა ახალქალაქის მონაცემების მიხედვით იანვარში 0,9 მბ-ია, ხოლო აგვისტოში 12,9 მბ-ს შეადგენს. საერთოდ დღელამური მსგლელობა რთული არ არის, მინიმუმი დგება ღამის საათებში, მაქსიმუმი — შუადღის შემდეგ.

2.4. ატანსცერული ნალექები



ატმოსფერული ნალექები არის კლიმატის ერთ-ერთი ძარითადო მახასიათებელი. იგი დიდ გავლენას ახდენს აღამიანის სამეურნეო საქმიანობაზე. ყოველგვარი ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობა და საირიგაციო სამუშაოები ნალექების რეჟიმის დეტალურ ცოდნას მოითხოვს. სამხრეთ საქართველოს მდებარეობა, მისი როული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები წარმოადგენს ნალექების წლიური რაოდენობის განაწილების კონტრასტების ძირითად ფაქტორს.


რა თქმა უნდა მხედველობაშია მისაღები აქ განვითარებული ცირკულაციური პირობები, რომლებზედაც დიდ გავლენას ახდენენ ზემოთ დასახელებული ფაქტორები. თავისებური ოროგრაფიული პირობები აქ განვითარებულ ცირკულაციას იმგვარად გარდაქმნის, რომ საქართველოს სხვა ადგილებთან შედარებით ეს მხარე ბევრად ნაკლებ ნალექებს იღებს, ვიდრე სხვა ადგილები. ეს მხარე ყველა მხრიდან ჩაკეტილია მაღალი ქედებით, რაც აბრკოლებს აქ ჰაერის მასების თავისუფალ შემოსვლას.

შემოსული ჰაერის მასები აქ დაღმავალი ხასიათისაა, უმეტესად, ამიტომ იგი უფრო შრება და უხვი ნალექების მოცემა აღარ შეუძლია.

მესხეთ-ჯავახეთის მნიშვნელოვან ნაწილში მცირე ნალექები მოღის. ნალექებით ღარიბია ახალციხის ქვაბული და მის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე ქედების ფერდობები. აქ საშუალოდ 500-700 მმ ნალექი მოღის წელიწადში (სურ. 5.). შეღარებით უხვა ატმოსფერული ნალექებია მესხეთის და არსიანის ქედების ფერდობებზე. აქ 1500 მ სიმაღლეზე საშუალოდ 1 000 მმ ნალექი მოღის, სიმაღლის მიხედვით იგი მატულობს და ზედა ნაწილებში 1200-1400 მმ შეადგენს.

განსაკუთრებით ღარიბია ნალექებით ახალქალაქის პლატოს სამხრეთი მხარე, საღაც ნალექების წლიური რაოდენობა 500-600 მმ უდრის; სიმაღლის მატებასთან ერთად ნალექები ჭრ მცირდება, შემდეგ მატულობს, მაგრამ ძალიან უმნიშვნელოდ, მაგალითად, ზღვის დონიდან 2112 მ სიმაღლეზე მდებარე ეფრემვკაში ნალექების წლიური რაოდენობა 722 მმ შეადგენს (ცხრილი 19). აქ ნალექების რაოდენობა შესამჩნევად ნაკლებია, ვიდრე საქართველოს

სხვა, იმავე სიმაღლეზე მდებარე აღგილებში. აქ განსაკუთრებული მურალი კონტინენტური ჰავაა, ამის გამო ტყეებით მეტად ღარისძიება მშრალი კონტინენტური ჰავაა, ამის გამო ტყეებით მეტად ღარისძიება.



სურ. 5. ატმოსფერული ნალექების შლიური ჩაოდენობა (იზოპიეტები).



რაიონის მთელ ტერიტორიაზე ნალექების შიდა წლიური განვითარებული წილების კონტინენტური ტიპია გაბატონებული. უმცირესი ნალექები მოდის ზამთარში, მინიმუმი — იანვარში (24-64 მმ), უდიდესი — ზაფხულში, მაქსიმუმი — ივნისში (73—116 მმ). აქა-იქ შეიმჩნევა მეორადი მინიმუმი სექტემბერში (34-52), ხოლო მაქსიმუმი — ოქტომბერში (41-62 მმ).

ცხრილი 19

ატმოსფერული ნალექები (მმ)

საღგურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII XI-III	IV-X	წლიური	
აბასთუმნი	47	45	39	50	88	99	69	54	49	51	50	47	228	460	688
ადაგვი	45	41	36	43	74	83	52	45	41	43	44	41	207	387	594
ტბაბური	39	49	54	62	79	81	56	47	46	50	44	46	222	421	643
ახალციხე	32	32	36	49	70	82	51	46	38	45	40	33	173	381	554
ასპინძა	25	31	31	44	76	81	59	47	38	35	31	22	140	340	520
ახალქალაქი	30	39	40	57	86	93	67	54	44	41	41	29	179	442	621
ეცრებოვანი	38	54	54	68	92	144	77	59	46	47	44	29	219	503	722

ჭავახეთის პლატოზე, როგორც უკვე ავლნიშნეთ, სიმაღლეზე ნალექები ჯერ კლებულობს, შემდეგ ისევ მატულობს.

მდ. ფარავნის აუზში, როგორც მე-20 ცხრილში წლიური მაჩვენებლებიდან ჩანს, პლუვიომეტრიული გრადიენტები უარყოფითია ზღვის დონიდან 1400 მ სიმაღლეზე. საშუალოდ ყოველი 100 მ სიმაღლეზე ნალექები მცირდება 6-17 მმ-ით, 1400 მ ზევით ნალექები ჯერ ნელა (4-20 მმ-ით) შემდეგ მნიშვნელოვნად იზრდება. (ყოველი 100 მ სიმაღლეზე 44-76 მმ).

პრაქტიკული მიზნების დასაკმაყოფილებლად მეტად საინტერესოა ანომალურად ნალექიანი და უნალექო თვეებისა და წლების ცოდნა. საკვლევ მხარეში მოსული ნალექების უდიდესი და უმცირესი თვითური და წლიური რაოდენობა საკმაოდ დიდ ფარგლებში იცვლება. არც ისე იშვიათად აქ შეიძლება მოვიდეს ნორმაზე როგორც მეტი, ისე ნაკლები ნალექები. ერთ თვეში მოსული მაქსიმალური რაოდენობა წლის ცივ პერიოდში 202 მმ-ია, რაც სამჯერ



პლუვიომეტრიული გრადიენტები მდ. ფარავნის აუზში

ზონები მ-ში	თ ვ ე ე ბ ი							წლიუ- რი
	I	III	V	VII	IX	XI		
1000—1200	-3	-2	1	0	-2	-3	-17	
1200—1400	-2	-1	2	1	-2	-2	-6	
1400—1600	-1	-1	2	2	0	-1	4	
1600—1800	0	2	4	3	2	0	20	
1800—2000	2	3	5	5	3	2	44	
2000—2200	3	5	7	8	9	6	76	

აღემატება ამ პერიოდის ნორმას. უმცირესი რაოდენობა კი 0-1 მმ-ია.

ნალექების თვიური სიდიდეების მსგავსად წლიური ნალექების უდიდესი და უმცირესი რაოდენობაც საკმაოდ დიდ ფარგლებში იცვლება. ყველაზე უხნალექიან 1963 წელს ეფრემოვკაში 985 მმ ნალექი მოვიდა, 1939 წელს აბასთუმანში — 972 მმ. გვალვიან წლებში ნორმაზე ბევრად ნაკლები ნალექები მოდის. ასე მაგალითად, ახალციხეში 1925 წელს მხოლოდ 257 მმ ნალექი მოვიდა (ცხრილი 21).

ცხრილი 21

უდიდესი და უმცირესი ნალექების რაოდენობა

საღვურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიუ- რი	
ახალქალაქი	უდ.	58	72	54	93	154	215	145	232	116	101	76	45	860
	უმც.	4	5	1	12	20	30	8	8	3	3	1	2	371
ახალციხე	უდ.	86	139	83	114	116	171	114	151	100	112	167	91	510
	უმც.	1	1	5	9	4	7	0	10	3	7	0	5	257
აბასთუმანი	უდ.	115	174	85	137	146	132	175	201	103	164	207	110	972
	უმც.	5	5	7	5	12	14	5	4	4	2	3	4	402

საკმაოდ საინტერესო სურათია მესხეთ-ჯავახეთში ნალექების განაწილებისა თბილსა და ცივ პერიოდებში. ამ მახასიათებელს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული მიზნებისათვის. მისი საშუალებით ვიგებთ ნალექების პროდუქტიულობას.



მესხეთ-ჯავახეთში თბილ პერიოდში მოსული ნალექების რაონდენობა იცვლება ტერიტორიულად 364—550 მმ შორის, ხელსაყრდნობა ცივ პერიოდში ირყევა 135-310 მმ შორის. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, თბილ პერიოდში ბევრად მეტი ნალექები მოდის ცივ პერიოდთან შედარებით.

ცნობილია, რომ ცივ პერიოდში მოსული ნალექების რაოდენობაზე დამკიდებულია ნიადაგში ტენის დაგროვების ხარისხი, ამ თვალსაზრისით მესხეთ-ჯავახეთში ხელსაყრელი პირობები არ არის. თუმცა ამას ერთგვარად არბილებს ის, რომ ზამთრის განმავლობაში დაბალი ტემპერატურების გამო მოსული თოვლი საკმაოდ დიდიანს ჩერდება.

კლიმატოლოგიაში საკმაო ყურადღება ექცევა კლიმატური ელემენტების, კერძოდ ნალექების, ამბლიტუდის შესწავლას. მესხეთ-ჯავახეთში ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და შეადგენს 8-15%-ს, ესაა ძირითადი ამბლიტუდა. მეორადი ამბლიტუდა შედარებით მცირება და 4% არ აღემატება.

მესხეთ-ჯავახეთი, რომელიც ხასიათდება ჰაერის განსაკუთრებული სიმშრალით, ნალექების დღელამური მსვლელობის თავისებური ტიპით გამოიიჩევა. აქ მთელი წლის განმავლობაში მთავარი მაქსიმუმია 16-18 საათზე; ზაფხულში და გაზაფხულზე კარგად გამოხატული მეორე მაქსიმუმი დილის 7-8 საათზეა, ზამთარში — 9-10 საათზე.

მთელი წლის განმავლობაში კარგად გამოხატული მინიმუმია შუალის წინა საათებში 10—11 საათზე.

მესხეთ-ჯავახეთში წლის განსაკუთრებით თბილ პერიოდში, დღისით მოსული ნალექების რაოდენობა ბევრად სჭარბობს ღამის ნალექებს, ამასთან ნალექების მოსვლის ხანგრძლივობაც დღისით ბევრად მეტია. ეს არის ამ მხარის სიმშრალისა და ნალექების ეფექტურობის სიმცირის მთავარი ფაქტორი.

მესხეთ-ჯავახეთში მოსული ნალექების დღელამური მაქსიმუმი არც თუ ისე დიდია, ახალქალაქის მონაცემებით იგი 58 მმ ტოლია, ხოლო ყველაზე მეტი აღინიშნა აბასთუმანში 85 მმ. ეს ბევრად ჩამორჩება საქართველოს დღელამურ მაქსიმუმს, რომელიც 355 შეადგენს. ნალექების დღელამური მაქსიმუმების დიდი ალბათობა წლის თბილ პერიოდშია.

კლიმატური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ნალექების ინტენსივობის და ნალექიან დღეთა რიცხვის შესწავლა, ამისათვის სპეციალური ჭირო თვითშეტყის მონაცემები, რაც ამ მხარისათვის არა გვაქვთ კონკრეტური მიზანობის საფუძველი. რამდენადმე მიახლოვებითი წარმოდგენა შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა სიღილის ნალექიან დღეთა რიცხვიდან. კერძოდ, მოსული ნალექების რაოდენობა $\geq 0,1$; $\geq 0,5$; $\geq 5,0$; $\geq 10,0$; $\geq 20,0$; და $\geq 30,0$ მმ.

პირველი გრადაცია წარმოდგენას იძლევა ნალექიან დღეთა რიცხვზე.

მესხეთ-გვახეთში ნალექიანი დღეები, ჰავის სიმშრალის მიუხედავად შეიძლება ითქვეს ცოტა არ არის, ტერიტორიულად იცვლება 121-172 დღეთა შორის. ასეთი დღეები ბევრია სკელევი მხარის დასავლეთ ნაწილში, იქ სადაც საერთოდ მეტი ნალექები მოდის და ზღვის დონიდან 2 000 მ მაღლა მდებარე აღვილებში. ნალექიანი დღეების მაქსიმალური რაოდენობა გაზიფხულის ბოლოს და ზაფხულის დასაწყისშია, საშუალო თვიური 15-18 დღის ტოლია. ყველაზე მცირე კი ზამთარში და ზაფხულის დასასრულს 8-10 დღე.

ისეთი დღეების რიცხვის ტერიტორიული განაწილება, როდესაც ნალექების რაოდენობა ≥ 1.0 და ≥ 5.0 მმ-ს, ნალექიან დღეთა რიცხვის ტერიტორიული განაწილების ანალოგიურია.

დღეთა რიცხვი, როცა ნალექების რაოდენობა ≥ 10.0 მმ-ს საშუალო წლიური 12-17 დღის ფარგლებში იცვლება. ასეთი დღეები ყველაზე მეტია მაისსა და ივნისის თვეში (2-3 დღე).

მთიანი მხარისათვის განსაკუთრებული მინშვნელობა ენიჭება ისეთი ნალექიანი დღეების რიცხვს და მათ ტერიტორიულ განაწილებას, როდესაც ნალექების რაოდენობა ≥ 30 მმ-ს. ასეთი სიღილის ნალექები უმთავრესად წლის თბილ პერიოდში იცის, თუმცა ზამთარიც არ არის გამონაკლისი. ასეთი დღეები მესხეთ-გვახეთში ძალიან ცოტაა, საშუალოდ წლის განმავლობაში 1 დღეს არ აღემატება. ასეთი დღეების აღბათობა რაიონის დასავლეთ ნაწილში უფრო მეტია, ვიდრე აღმოსავლეთ და განსაკუთრებით ცენტრალურ ნაწილებში.

ნალექების ხანგრძლივობაც არ არის დიდი, ტერიტორიულად 500-1200 საათს შორის იცვლება. თბილ პერიოდში 200-500 საათია, ცივ პერიოდში 300-700 საათი. მაქსიმალური ხანგრძლივობა 1200-



2000 საათია. უწყვეტი ნალექების მაქსიმალური ხანგრძლივობა წლის დანართით ური მონაცემების მიხედვით 55-70 საათია. ყველაზე გამჭული ნალექები რცის იანვარში და დეკემბერში, ყველაზე ხანმოკლე — ზაფხულის თვეებში.

მოსული ნალექების რაოდენობაში თხევადი ნალექების წილად მოდის დაბალ ნაწილში 75%, მყარზე — 18%, ხოლო შერეულია 8%, მაღალ ნაწილებში შესაბამისად — 60%, 31% და 9%. მაღალ-მოდიან ნაწილებში ნალექები მყარი სახით მოელი წლის განმავლობაშია მოსალოდნელი. დაბალ ნაწილებში მხოლოდ სექტემბრითან მაისამდე.

თოვლის საფარის ხასიათი საქვლევ მხარეში ყველგან ერთნაირი არ არის, ჩაც ცხადია აიხსნება ნალექების რაოდენობისა და ტემპერატურული რეჟიმის განსხვავებით ამ რაიონებს შორის. თოვლის საბურველი უფრო მაღალია დასავლეთ რაიონებში, ხოლო ხანგრძლივი — აღმოსავლეთ ნაწილში. აბასთუმნის მონაცემებით თოვლის საფარის სიმაღლე თებერვლის პირველ დეკადაში აღწევს მაქსიმუმს საშუალოდ 33 სმ. ზამთარში საერთოდ მაქსიმალური სიმაღლე 1 მეტრს აღწევს. თუმცა ასეთი ზამთარი მეტად იშვიათია.

განსაკუთრებით უთოვლო ზამთარი ხშირია ახალციხის ქვაბულში, აქ თოვლის საბურველის გამყარებისა და აღების საშუალო თარიღებია 4/XII და 28/III. თოვლის საბურველის ხანგრძლივობა ამ მონაცემების მიხედვით საქმაოდ დიდია. მაგრამ ცალკე წლების მასალების განხილვიდან ირკვევა, რომ არც ისე იშვიათია ისეთი წლები, რომლის დროსაც თოვლი ერთ თვეზე ნაკლებ ხანს დევს. თოვლიან დღეთა საშუალო რიცხვი არსებული მონაცემების მიხედვით ასეთია: ახალციხეში — 63, აღიგენში — 69, ასპინძაში — 54, როდიონვაკაში — 153, ახალქალაქში — 101, ეფრემოვაკაში — 153. თოვლის საფარიანი დღეები ტერიტორიულად იცვლება 60—160 დღეს შორის.

თოვლის საფარის მახასიათებლებიდან საქმაოდ საინტერესოა მისი სიმკვრივე. სიმკვრივის მიხედვით იცვლება სითბოგამტარობა და წყლის მარაგი თოვლის საფარში, რომელიც საინტერესოა სოფლის მეურნეობისათვის, ჩამონადენის აღრიცხვისათვის და სხვ. საკვლევ მხარეში თოვლის საფარის სიმკვრივე იცვლება 0,20—0,24 გ/სმ³.



თოვლის საფარში წყლის შემცველობა საკმაოდ მრავალფეროვანია. ზამთრის დასაწყისში წყლის მარაგი თოვლის საფარში უძნიშვნელოა. თოვლის საფარის სიმაღლის და სიმკვრივის ზრდასთან ერთად იზრდება წყლის მარაგიც, რომელიც მაქსიმუმს აღწევს თოვლის ღნობის დასაწყისში. ზამთრის განმავლობაში წყლის მარაგი წლიდან წლამდე დიდ ფარგლებში იცვლება.

მაგალითად, ეფურემოვკის მონაცემების მიხედვით ზამთარში წყლის მარაგის მაქსიმალური რაოდენობა 281 მმ, მინიმალური 120, სხვაობა 161-ია. აღმოსავლეთ საქართველოს ამავე სიმაღლეზე მდებარე აღგილებთან შედარებით აქ ბევრად ნაკლები თოვლი მოდის.

2.5. დ რ უ ბ ლ ი ა ნ ი ა ნ ი

მესხეთის ტერიტორია უსწორმასწოროა, საკმაოდ მაღალი მთები მონაცვლეობენ ღრმა ხეობებთან. მისი ძირითადი ნაწილი მოქცეულია მაღალ მთებს შორის. ყველაფერი ეს იმგვარად გარდაქმნის ზოგად ცირკულაციას, რომ განსაკუთრებულ სახეს იღებს ღრუბლიანობის რეჟიმი. მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან ზამთრისა და ზაფხულის ღრუბლიანობის რეჟიმი.

ღრუბლიანობა მნიშვნელოვანი კლიმატური ელემენტია, ამიტომ მისი შესწავლის ინტერესი დიდია. ღრუბლების ფორმების და მათი განვითარების მიხედვით შეიძლება თვალყური ვალევნოთ ატმოსფეროში მიმღინარე კონდენსაციის და სუბლიმაციის პროცესებს, აგრეთვე ჰაერის მოძრაობას.

როგორც უკვე აღნიშნეთ, რთული ოროგრაფიული პირობები ხელს უწყობს იმას, რომ ღრუბლების წარმოშობის პირობები ტერიტორიის სხვადასხვა აღგილას განსხვავებულია. აქ ხშირია როგორც ფრონტალური, ისე, ადგილობრივი (კონვექციური) განვითარების ღრუბლები. ეს უკანასკნელი ძირითადად წლის თბილ პერიოდში იცის.

მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე ღრუბლიანობა საერთო მოღრუბლულობის მიხედვით ზომიერია. საშუალოდ წელიწადში ცის



თაღის 50—60% ლრუბლებითაა დაფარული. ხოლო ქვედა დაწესებული ლიანობის მიხედვით ლრუბლებითაა დაფარული ცის თაღის 40—45%. წლის განმავლობაში ორივე შემთხვევისათვის ლრუბლიანობა მაღალია წლის ცივ პერიოდში. ძირითადი მაქსიმუმი დგება ზამთრის დასასრულსა და გაზაფხულის დასაწყისში, მინიმუმი აგვისტოსა და სექტემბერშია.

ლრუბლიანობის დღეღამური მსვლელობაც საკმაოდ რთულია, საერთო ლრუბლიანობა უფრო მეტია დღის 13 საათზე. მინიმუმი ღამის 1 საათზე დგება, ქვედა იარსის ლრუბლები ხშირია ახალციხის ქვაბურში დიღის შვიდ საათზე, ხოლო ახალქალაქის ზეგანზე 13 საათზე.

ლრუბლიანობა ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში შედარებით მეტია. საგრძნობი ლრუბლიანობით გამოირჩევა აღმოსავლეთი ნაწილიც. შედარებით მცირეა ლრუბლიანობა ახალქალაქის გაშლილ ზეგანზე.

ლრუბლიან დღეთა რიცხვი საერთო ლრუბლიანობის მიხედვით როგორც ჭვემოთ მოცემული 22 ცხრილიდან ირკვევა ტერიტორიულად 96—126 დღეს შორის ირყევა.

ცხრილი 22

ლრუბლიან დღეთა რაოდენობა საერთო ლრუბლიანობის მიხედვით

სალგურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლის
აბასთუმანი	14.6	12.9	14.9	12.7	11.8	8.2	7.5	5.2	6.8	8.6	10.4	12.6	126
ახალციხე	12.4	10.4	12.2	11.5	9.4	7.0	5.9	4.4	5.3	7.6	9.3	10.2	106
ახალქალაქი	11.5	10.6	12.2	10.9	7.7	6.8	5.2	2.8	3.6	6.5	8.9	10.1	98

ლრუბლიანი დღეების წლიური მსვლელობა კარგად არის გამოხატული, მაქსიმუმი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში მარტის თვეშია (12—15 დღე), ხოლო მინიმუმი ყველგან აგვისტოშია (2—6 დღე).

მოწმენდილი დღეების რაოდენობა საერთო ლრუბლიანობის მიხედვით სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე 54—82 დღეს შორის იცვლება წელიწადში (ცხრილი 23).



მოწმენდილი დღეების რიცხვი საერთო ღრუბლიანობის მიხედვით

საღგურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიუ- ნი
აბასთუმანი	3.3	2.5	2.4	2.9	2.4	3.2	5.4	7.7	8.5	6.9	5.2	4.1	54
ახალციხე	4.6	3.6	3.2	4.0	3.5	5.0	6.4	8.3	8.9	8.0	5.8	5.4	67
ახალქალაქი	4.3	3.6	3.4	3.0	2.2	3.5	5.3	8.3	9.6	7.9	6.7	5.7	64
ფორა	5.8	5.5	6.5	6.2	3.5	5.4	5.6	9.1	11.0	8.1	8.2	8.5	82

მთელ ტერიტორიაზე მოწმენდილი დღეების წლიური მსვლელობის ერთი ტიპი აღინიშნება: მაქსიმუმი ყველგან სექტემბრის თვეშია, მინიმუმი საკვლევი მხარის დასავლეთ ნაწილში მარტის თვეშია, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში კი მაისის თვეში გადაინაცვლება.

მთელი წლის განმავლობაში საკვლევ მხარეში გაბატონებულია ფენა-გროვა ღრუბლები (26—39 %), მეორე ადგილზეა მაღალი გროვა სახის, ხოლო მომდევნოზე ფრთა ღრუბლები. წლის თბილ პერიოდში (აპრილ-ოქტომბერი) საგრძნობლად მატულობს გროვა და გროვა-წვიმის კონვექციური წარმოშობის ღრუბლები.

2.6. აორთვები და მიზანი

აორთქლებადობა მნიშვნელოვანი კლიმატური ელემენტია. სამწუხაროდ, ინსტრუმენტალური დაკვირვების მასალები საკმარისი არ არის საკვლევი ტერიტორიის რთული პირობების მქონე მხარისათვის.

დღეისათვის კლიმატის ინდიკატორად იღებენ არა ნიადაგის ბუნებრივი ზედაპირიდან ჯამობრივ აორთქლებას, არამედ იმ შესაძლებელ აორთქლებას, რომელსაც ადგილი ექნებოდა იმავე კლიმატურ პირობებში ნიადაგი წყლით რომ ყოფილიყო დაფარული. ამ სიღიდეს აორთქლებადობა ეწოდება.

ჯამობრივ აორთქლებას ხშირად ანგარიშობენ ნალექების და ჩა- მონადენის სხვაობით, რაც ყველგან სასურველ შედეგებს არ იძლევა. განსაკუთრებით მესხეთ-ჯავახეთში, რომელიც ცნობილია

კლიმატოლოგიასა და ჰიდროლოგიაში რიგი თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად იყენებენ აორთქლებადობას. ეს მახასიათებელი ფართოდ გამოიყენება ფიზიკურ-გეოგრაფიული ზონების შესწავლის დროს და ჰიდროტექნიკური გაანგარიშებისას. მის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკული თვალსაზრისით, რადგან წყალსაცავებში წყლის დიდი მარაგი შეიძლება დაიხარჯოს აორთქლებაზე. კლიმატური დარაიონებისათვის დიდი მნიშვნელობა ეძღვა აორთქლებადობას, რომელიც ატმოსფერულ ნალექებთან ერთად განსაზღვრავს მხარის დანესტიანების ხარისხს.

მესხეთ-ჭავახეთის ტერიტორიისათვის აორთქლებადობა გამოვითვალეთ დავიდოვის ცნობილი ფორმულით 4 პუნქტისათვის, რომლებიც მხარის სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში მდებარეობს, ისე რომ ამ მონაცემებით სათანადო წარმოდგენას ვიღებთ აორთქლებადობის ტერიტორიულ განაწილებაზე. მათი გამოყენება შეიძლება სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის დანესტიანების ხარისხის დასადგენად, რაც ამ მხარის ბიოკლიმატური რესურსების შეფასების საშუალებას მოგვცემს.

ცხრილი 24

საშუალო თვიური და წლიური აორთქლებადობა (მმ)

სადგურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
ახალციხე	20	22	36	62	78	84	105	107	80	54	31	20	699
ასპინძა	19	37	52	68	88	91	111	118	80	59	38	33	814
ახალქალაქი	18	18	26	60	61	66	89	100	68	46	31	21	594
როდიონვკა	20	19	30	32	47	51	67	76	48	47	30	21	488

როგორც 24-ე ცხრილიდან ჩანს, აორთქლებადობა სამხრეთ საქართველოში დიდი არ არის. ტერიტორიულად ირყევა 814 მმ-დან 488 მმ შორის. აორთქლებადობის მაქსიმუმია ახალციხის ქვაბულში, რომელიც ზაფხულის თვეებში ხასიათდება ჰაერის მაღალი 50



ტემპერატურით და ჰაერის სიმშრალით. ტერიტორიის მნიშვნელობა გან ნაწილში აორთქლებადობა საერთოდ მცირეა, რაც უმთავრეს სად დაბალი თერმული მაჩვენებლების ბრალია.

წლის განმავლობაში საკმაოდ დიდ ფარგლებში იცვლება აორთქლებადობის სიდიდე; მთელ მხარეში შენიშვნება ერთი მეტად მნიშვნელოვანი კანონზომიერება; აორთქლებადობა ყველგან მაღლალია ივლის-აგვისტოს თვეში (67—118 მმ), ეს მონაცემები ზღვის დონიდან თავის სიმაღლესთან შედარებით საკმაოდ მაღლალია. მინიმუმი წლის ცივ პერიოდშია, ძირითადად იანვარში (15-39 მმ).

აორთქლებადობის წლიური ამპლიტუდა საკმაოდ მაღლალია და ტერიტორიულად 56-87 მმ ფარგლებში ირყევა. ამპლიტუდა უმთავრესად სიმაღლის მატებასთან ერთად მცირდება.

2.7. დანესტიანების კოეფიციენტი

აორთქლებადობის შესწავლას მეტად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევაში, თუ მას განვიხილავთ ნალექებთან მჭიდრო კავშირში. მათი ურთიერთშეფარდება ნათელ წარმოდგენას იძლევა მხარის დანესტიანებაზე.

დანესტიანების კოეფიციენტი რადგან აორთქლებადობის მეშვეობით გამოიანგარიშება, მხოლოდ ოთხი საღგურისათვის გვაქვს მოყვანილი (ცხრილი 25). ამ ცხრილიდან იჩვევა, რომ სამხრეთ საქართველოში დანესტიანების კოეფიციენტის წლიური სიდიდე მერყეობს 0,66 (ასპინძა) 1,8 (აბასთუმანი) შორის.

ცხრილი 25.

დანესტიანების კოეფიციენტი

საღგურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
აბასთუმანი	3.1	3.0	1.5	1.1	1.6	1.7	0.9	0.6	0.8	1.1	2.3	2.9	1.8
ახალციხე	1.6	1.4	1.0	0.7	0.8	0.9	0.4	0.5	0.4	0.8	1.2	1.4	0.9
ასპინძა	0.6	0.8	0.5	0.6	0.8	0.8	0.5	0.3	0.4	0.5	0.8	0.6	0.6
ახალქალაში	1.6	2.1	1.5	1.1	1.4	1.4	0.7	0.5	0.6	0.8	1.3	1.3	1.2

ამ მონაცემების მიხედვით მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე გამოყოფა შემდეგი ჰქონები:

ა) არასაკმაოდ დანესტიანებული ($0,6\text{--}1,0\text{-მდე}$) ზონა, მოიცავს ახალციხის ქვაბურს, საღაც მოსული ნალექების რაოდენობა ტოლია ან ჩამორჩება აორთქლებადობას. ასეთ აღგილებში დანესტიანების კოეფიციენტი ერთხე მეტია მხოლოდ წლის ცივ პერიოდში, ზაფხულის პერიოდში მასზე ბევრად ნაკლებია. ისე რომ, მცენარეულობა ტენით უზრუნველყოფილი არ არის იმ პერიოდში, როცა ტენს განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება აქვს. დანესტიანების სიღიღე საკმაოდ კარგად გამოხატავს აქაურ ბუნებრივ პირობებს. აქ განვითარებულია ზომიერად მშრალი პავა ჯაგეკლიანი ველის და მაღალმთის ველის ლანდშაფტებით.

ბ) საკმაოდ და ზომიერად დანესტიანებული ($1,0\text{--}2,0\text{-მდე}$) ზონა მოიცავს მესხეთ-ჯავახეთის დიდ ნაწილს. იგი ხასიათდება კონტინენტური პავით, ტყეებით მეტად ლარიბია ჯავახეთის ზეგანი. მცენარეულობის დამახასიათებელ ტიპს მაღალმთის ბალახოვნები შეადგენენ, აქ გამოირჩევა მთა-ველის, სუბალპური და ალპური სახეობები.

დანესტიანების კოეფიციენტის წლიური მსვლელობა საკმაოდ რთულია, მაქსიმუმი უპირატესად იანვარშია ($1.47\text{--}3.13$), გამონაკლისია ასპინძა, სადაც მაქსიმუმი თებერვალზე ინაცვლება. მინიმუმი ყველგან ავისიტოს თვეებშია და ტერიტორიულად იცვლება $0.39\text{--}0.73$ შორის.

2.8. დანესტიანების გალანტი

მხარის დანესტიანების შესასწავლად საკმაოდ წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ დანესტიანების ბალანსი, რომელიც დანესტიანების კოეფიციენტისაგან განსხვავებით სინოტივის უკმარისობას და სიჭარებს გამოსახავს აბსოლუტურ სიღიღეებში.

დანესტიანების ბალანსი, რომელიც იანგარიშება მოსულ ატმოსფერულ ნალექებს გამოკლებული აორთქლებადობა, გამოიყენება მორწყვის ნორმების დასადგენად, მხარის კლიმატური და აგროკლიმატური დარაიონებისა და სხვა რიგი პრაქტიკული საჭირების გადასაწყვეტად.

მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი, კერძოდ ზღვის ზღვის დონიდან 1500 მ დაბლა წლიური მონაცემების მიხედვით უარყოფითი სიღილეებით ხასიათდება. ეს ის აღვილებია, საღაც საკმაოდ მშრალი ჰავაა.

დანესტიანების ბალანსის ცვლილება წლის განმავლობაში საკმაოდ რთულია, მთელ ტერიტორიაზე უპირატესად უარყოფითი ბალანსი დაიკვირვება (1-დან 61 მმ ფარგლებში), რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარებაზე

ცხრილი 26

დანესტიანების ბალანსი (მმ)

საღვურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
აბასთუმანი	32	30	14	8	35	43	-1	-27	-10	8	29	31	192
აღიგენი	24	21	2	-15	0	-6	-35	-55	-31	-13	13	18	-65
ახალციხე	12	10	0	-12	-8	-2	-54	-61	-42	-9	9	13	-145
ახალქალაქი	12	21	14	7	25	27	-22	-46	-24	-5	10	8	27

ცალკეულ წლებში უარყოფითი ბალანსით ხასიათდება საკმაოდ დიდი პერიოდი, გაზაფხული, ზაფხული და ზოგჯერ შემოდგომაც. ამ დროს იცის ამ მხარეში მოუსავლიანობა, რადგან რწყვა მთიანი პირობების გამო არ ხერხდება.

2.9. ატმოსფეროს განსაკუთრებული მოვლენები

მესხეთ-ჯავახეთში მრავალგვარი განსაკუთრებული მოვლენა ვითარდება, რომელთაგან აღსანიშნავია: ნისლი, ქარბუქი, ჭექა-ჭუხილი და სეტყვა.

ნისლი. ნისლი არის მიწისპირა ფენებში წყლის ორთქლის კონდენსაციის და სუბლიმაციის პროცესები, წარმოშობის მიხედვით არჩევენ: აღექვაციურ, რაღიაციულ, აღვექციურ-რაღიაციულ და ფრონტალურ ნისლს.

მესხეთ-ჯავახეთში მეტნაკლები სიხშირით ყველა სახის ნისლი ჩნდება, შედარებით ხშირია რაღიაციული ნისლის გაჩენა, ნისლია-



ნი დღეების განაწილება·საკვლევ ტერიტორიაზე საქმაოდ რთულია და რაღაც ეს მხარე საქმაოდ მრავალფეროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით ხასიათდება, რასაც ნისლის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნისლიან დღეთა რიცხვი ტერიტორიულად საქმაოდ დიდ ფარგლებში იცვლება. კერძოდ, 6-52 დღე წელიწადში (ცხრილი 27). საქმაოდ მცირეა იგი მხარის დასავლეთ ნაწილში, ახალციხის ქვაბურში. შედარებით დიდი ნისლიანობით გამოირჩევა ომოსავლეთი მაღალმთიანი ნაწილი. მცირეა ასეთი დღეები ახალქალაქის ზეგანზეც. ცალკეულ წლებში ნისლიანი დღეები მაღალმთიან ნაწილში 100 დღეს სჭარბობს. ნისლი უფრო მეტად საღამოს საათებში იცის.

წლის განმავლობაში ნისლიანი დღეების განაწილებაში გარკვეული კანონზომიერება არ დაიკვირვება. ზოგან წლის ცივ პერიოდშია მეტი, ზოგან თბილ პერიოდში (ცხრილი 27).

ცხრილი 27

ნისლიან დღეთა საშუალო რიცხვი

სადგურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
აბასთუმანი	2	0.3	1	0.6	0.5	0.4	0.7	0.1	0.2	0.7	0.8	1	8
ადიგენი	2	1	1	0.4	0.2	0.1	0.04	0.08	0.08	0.7	1	2	8
ახალციხე	2	1	0.9	0.1	0.1	0.03		0.1	0.1	0.9	3	2	10
ასპინძა	0.7	0.5	0.6	0.3	0.3	0.04	0.1	0.4	0.1	0.3	2	0.7	6
ახალქალაქი	0.4	0.4	0.9	1	0.6	2	2	2	1	0.7	0.7	0.1	12
ფონა	5	6	6	6	3	4	4	2	3	4	5	5	53

ქარბუჭი. მესხეთ-ჯავახეთში ქარბუჭი არც ისე ხშირია. საკმაოდ იშვიათია იგი ქვაბურებში. ასპინძის მონაცემებით წელიწადში მხოლოდ 1 დღეა ასეთი. შედარებით ხშირი მოვლენაა იგი მაღალმთიან გაშლილ ადგილებში, საშუალოდ თვეში 4-10 დღეს შეადგენს. არის ისეთი წლებიც, როდესაც ქარბუჭიანი—20-25 დღეა თვეში. მაგალითად, როდიონოვკაში იგი—22, ეფრემოვკაში—21, ხოლო ტაბაწყურში — 25 დღეა ასეთი. საშუალოდ დღე-ლამეში 8,5 საათს გრძელდება ქარბუჭი.



ჭექა-ქუხილიანი მესხეთ-ჯავახეთის მნიშვნელოვანი თაგის ეპიკარიანი ბურება ჭექა-ქუხილის სიხშირეა. იგი წლის თბილი პერიოდისათვეზე სა დამახასიათებელი. წარმოშობის მიხედვით ამ მხარეში, როგორც საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში, უპირატესად შიდა-მასური ჭექა-ქუხილია გაბატონებული. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მოშიშვლებული ნიადაგი ხურდება და ვითარდება მძლავრი კონ-ვექციური პროცესები.

ჭექა-ქუხილიან დღეთა რიცხვი ტერიტორიულად 30-54 დღეს შორის ირყევა (ცხრილი 28), შედარებით მცირეა მესხეთის ჭედის აღმოსავლეთ და თრიალეთის ტყით დაფარულ კალთებზე.

ცხრილი 28

ჭექა-ქუხილიან დღეთა საშუალო რიცხვი

სადგურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	XI	XII	XII	წლიუ- რი
აბასთუმანი		0.03	0.03	2	10	12	9	8	5	2	0.1	48
ადაგინი	0.04			1	8	10	6	6	3	2	0.2	36
ახალციხე		0.03	0.2	3	12	13	9	10	5	2	0.07	0.03
ასპინძა		0.04	0.04	2	10	12	8	8	5	2	0.04	47
ახალქალაქი			0.1	2	11	15	10	10	6	2	0.04	56
ტაბაწყური			0.07	2	7	7	5	5	3	0.9		30

ჭექა-ქუხილი საქმაოდ კარგად გამოხატული წლიური მსვლელობით ხასიათდება, მაქსიმუმია ზაფხულში, საშუალოდ თვეში 5-15 დღეა ჭექა-ქუხილიანი, მინიმუმი კი ზამთარშია. საერთოდ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, აქაც ჭექა-ქუხილი ზამთარში მეტად იშვიათია. მხოლოდ მხარის დასავლეთ ნაწილშია ამ სეზონში იგი აღნიშნული.

ცალკეულ წლებში ჭექა-ქუხილი საქმაოდ ხშირია, ზოგან 80 დღეს აღწევს წელიწადში, ზაფხულის ზოგიერთ თვეში 20—22 დღეა ჭექა-ქუხილიანი. იგი საშუალოდ დღეღამეში 2-4 საათს გრძელდება. ისიც აღსანიშნავია, რომ ჭექა-ქუხილი უფრო ხშირია სალამოს და ღამის საათებში (14-24 საათამდე).



სეტყვა, სოფლის მეურნეობის ულმობელი მთავრობებული საკვლევ მხარეში საკმაოდ ხშირი მოვლენაა. საქართველოში ეს მხარე სეტყვიანი დღეების სიხშირით პირველ ადგილზე იმყოფება, მასთან ახლოსაა მხოლოდ კავკასიონის მაღალმთიანი ნაწილი.

სამხრეთ საქართველოში სეტყვა მოდის ვ. გიგინეიშვილის მიერ (10) დადგენილი ყველა პროცესის დროს. კერძოდ ცივი ფრონტის, ოკლუზის ფრონტის, ტალღური აღრევების და შიდა-მასური (კონვექციური) პროცესების დროს. სეტყვა მხოლოდ წლის თბილ პერიოდში იცის. მაქსიმუმი მაის-ივნისის თვეშია. ზე-მოთ აღნიშნული პროცესებიდან ყველაზე ხშირად აქ სეტყვას იძლევა ტალღური აღრევები და შიდამასური, ანუ კონვექციური პროცესები. სეტყვა ძირითადად იწყება აპრილიდან და საშუალოდ ოქტომბერში მთავრდება. ნააღრევი სეტყვა თებერვალში, ხოლო ნაგვიანევი ნოემბერშია აღნიშნული.

სეტყვიანი დღეების წლიური რაოდენობა ტერიტორიულად 2-10 დღეს შორის იცვლება, განსაკუთრებით ხშირია ახალქალაქის ზე-განზე და ჭავახეთის ქედის დასავლეთ კალთებზე. საქართველოში სეტყვიანი დღეების სარეკორდო მაჩვენებელია როდიონოვკაში— 10 დღე (ცხრილი 29).

ცხრილი 29

სეტყვიან დღეთა საშუალო რიცხვი

საღგურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
აბასთუმანი		0.02	0.08	0.6	2.0	1.9	0.8	0.4	0.4	0.2			6.4
ალიგნი				0.2	0.7	0.7	0.1	0.7	0.2				2.2
ახალციხე	0.06			0.2	1.0	1.1	0.4	0.3	0.2	0.06			3.3
ასპინძა				0.2	0.9	1.1	0.6	0.2	0.2				3.2
როდიონოვკა				0.4	3.0	3.0	0.9	1.1	0.9	0.7			10.0
ახალქალაქი		0.07	0.8	1.6	2.0	0.8	0.8	0.7	0.2	0.09			7.1

ცალკეულ წლებში სეტყვიანი დღეების მაქსიმალური რიცხვი 16 აღწევს (ახალქალაქი, როდიონოვკა).

౩ १ ८ ० ३

మాసికా-జాబాపాతిలి కల్పించాలుని రాపిలెవి

భేస్కేత-ఖావాక్కెతిస తావిసెబ్చురి ర్హెల్పియ్యి డా అంధింసట్టేరిస
పొర్కుల్లాపిఊరి పెరుచ్చెసెబిస సిరుతుల్లే సాక్షమాండ అంగేల్లేబిస అథ
మొస్కో క్లిమించ్చురి రాపిలెవి డాఫ్ఱెగ్సెనాసా డా మాతి గావర్పెల్లే-
బిస సాక్షమాండ శ్యేమంటార్గులొస. ఏస సాక్షితిసి ఇంద్రేనాడ అంత్యాల్సు-
రొస, రంధ లింగి సింగేల్లేబిస మించ్చెదావాడ మిసి గవెర్లిసి వ్యాలా అం
శ్యేసిల్లేబా.

పెరువ్వెలొ సరుల్పంటులొ పెరుమా, సాఫాచ సాక్షమాండ డ్రెట్చాల్సురాధా మంచ్చెమ్లులొ సాక్షమాండ సాక్షారుతవేలొలు క్లిమించ్చురి ట్రెమించ్చెబిసా డా
చెంగేబిస గామింపుట్టిస పెరుంచ్చెబిస ప్రెప్పుతవ్వెబిస మ. కుంఠాశిస (2), రం-
మేల్లిచ ప్యార్లంబొస వ. కుంపెబిస సాక్షమాండ అంగార్చెబ్చుల క్లిమించ్చుర
క్లాసిఫ్యూచ్చిపొస డా డి. అంపిసుపొస క్లిమించ్చులొ గ్రెన్చ్చుర క్లాసిఫ్యూ-
చ్చిస.

మ. కుంఠాశిస అంగింశ్నుల క్లాసిఫ్యూచ్చిపొసి శ్యేంతిసా మపింగ్ ఎండ్రెని
శ్యేసింగ్ రెబా, రాచ సాక్షారుతవేలొలు క్లిమించ్చురి తావిసెబ్చుర్లేబిం ప్యా
గామించ్చెచ్చులు.

మ. కుంఠాశిస మించ్చెవిం, భేస్కేత-ఖావాక్కెతి మంచ్చెచ్చులొ స్టుప్టురి-
ప్రీకులొ కుంటింగ్ న్చురి క్లిమించ్చులా చెంగ్ విస క్లిమించ్చు గావర్లామావాలు
మంచ్చెవి గామింపుట్టి ప్రెప్పుల్లేబిస. ఏస ప్రెప్పుల్లే తావిసెబ్చురి క్లిమించ్చు-
రి పెరుంబెబిం గామింగ్ రెబా. అం క్లిమించ్చు ప్రెప్పుల్ల కుంటింగ్ న్చురొస:
చొట్కులొ ఉప్పులొ ఉప్పులొ చెంగ్ విస ఉప్పులొ ప్రెప్పులొ డా అంధింసట్టేర్లులొ
నుండ్ క్లాసిఫ్యూచ్చులొ రామింగ్ న్చురొస నుండ్ క్లాసిఫ్యూచ్చులొ మింగ్ విస మిం-
పొస సాక్షమాండ సింగ్ విస సాక్షమాండ సాక్షమాండ సాక్షమాండ సాక్షమాండ.

భేస్కేత-ఖావాక్కెతిస క్లిమించ్చురి పెరుంబెబిస తావిసెబ్చుర్లేబిస డా-
రొతాఫ్ఫి మింగ్ విస సాక్షమాండ రంపులొ పెరుంగ్ రాపుఊలొ పెరుంబెబిస. ఏస
సాక్షమాండ సాక్షమాండ డాపులొ డాపులొ తావిసెబ్చుర్లేబిస ట్రెనిసి కెంగ్ విస మా-



სებისაგან. ამ რაიონში კერც. აღმოსავლეთიდან შემოჭრილი ჰარებული მასები შემოლიან თავისუფლად. მათ აქედან იცავს მერიდიანული სამსარისა და ჯავახეთის საკმაო სიმაღლის ქედები. ატმოსფერული ნალექების სიმცირის გამო ჯერ ერთი, და მეორეც, ამგებელი ქანების თავისებურების გამო, მოსული ნალექების პროცენტიულობა მცირეა. ყველაფერი ეს იწვევს მცენარეული საფარის სიღარიბეს, ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ჰავის კონტინენტურობას. საქართველოს სხვა ადგილებთან შედარებით ეს მხარე გამოირჩევა ჰავის მეტი სიმშრალით და დიდი კონტინენტურობით.

საკვლევი რაიონის გეოგრაფიული მდებარეობა და რელიეფის თავისებურება ზოგად ცირკულაციას იმგვარად გარდაქმნის, რომ რაიონის შიგნით გამოიყოფა რამდენიმე მსხვილი, ერთმანეთისაგან განსხვავებული კლიმატური რაიონი.

მესხეთ-ჯავახეთის კლიმატურ დარაიონებას საფუძვლად დაუდეთ: მისი მდებარეობა, ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი, განსაკუთრებით, რელიეფის ხასიათი, რაღიაცის რეზიმი, ატმოსფეროს ცირკულაციური პირობები და ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების საშუალო და ექსტრემალური სიდიდეები.

მესხეთ-ჯავახეთში საკმაოდ მკვეთრად განსხვავებული ოთხი კლიმატური რაიონი გამოიყოფა: ახალციხის ქვაბური, ახალქალაქის პლატო, მესხეთის ქედის სამხრეთი კალთები და ჯავახეთის ზეგნის მაღალი მთიანეთი.


1. ახალციხის ქვაბული. აქ გაერთიანებულია ახალციხის ქვაბულის ძირი, რომელიც მდებარეობს 900—950 მ სიმაღლეზე და მის ირგვლივ მდებარე ადგილები ზღვის დონიდან 1300—1400 მ სიმაღლემდე. ახალციხის ქვაბულის ძირის ლანდშაფტი ტყესტეპურ ხასიათს ატარებს. ოდესლაც ეს ადგილები დაფარული იყო ტყე-ბუჩქნარით, ამჟამად სჭარბობს ქსეროფიტული დაჭვუფებანი.

რელიეფის თავისებურების გამო შესუსტებულია ჰაერის მასების გარედან შემოჭრის ეფექტი, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ეძლევა რაღიაციულ პროცესებს, ეს ხელს უწყობს ნიადაგიდან გამოსხივების გაძლიერებას, რის გამოც აქ ზამთარი საკმაოდ ცივი იცის. ხშირია თერმული ინვერსიები.

იანვრის საშუალო ტემპერატურა აქ -4 , -7°-ია , აბსოლუტური რი მინიმალური ტემპერატურა -25 , $-35^{\circ}\text{-მდე ეცემა}$. ყაზბეგიზე დღეთა ჩიცხვი წელიწადში 150 უახლოვდება უთბილესი თვის, ივლისის საშუალო ტემპერატურა $17-20^{\circ}$ ტოლია.

წლის განმავლობაში მოდის $450-600$ მმ ნალექი, უდიდესია ივლისში და ნოემბერში, უმცირესი იანვარსა და ოქტომბერში (სურ. 6-7). დანესტრიანების კოეფიციენტი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში $1-ზე$ ნაკლებია.


2. ახალქალაქის პლატო, მას ჯავახეთის ზეგნის შუა ნაწილი უკავია, აქ გაერთიანებულია საკუთრივ პლატო და მის ირგვლივ მდებარე ფერდობები. ქედების ფერდობები დაფარულია უმთავრესად.



სურ. 6. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების წლიური მსვლელობა; ჰაერის ტემპერატურა: — საშუალო თვიური, - - აბსოლუტური მაქსიმალური, - - აბსოლუტური მინიმალური, ... ჰაერის შეფარდებითი სინოტივე 13 საათზე, სვეტები — ნალექები.

ნაირბალახოვანი—მარცვლოვანი, სტეპური მცენარეულობით. ხასიათდება მაღალი ზეგნის მშრალი სტეპური ჰავით, ცივი მცირე-თოვლიანი ზამთრითა და ხანგრძლივი ზაფხულით. ჰაერის ტემპერატურა აქ იანვარში -7 , -10° , ივნისში $17-14^{\circ}$ ტოლია. წლის განმავლობაში მოდის $400-600$ მმ ნალექი, უდიდესია — ივნისში, უმცირესი — იანვარში. (სურ. 8) ღანესტიანების კოეფიციენტი 1 და $1-ზე$ ნაკლებია.


პასალისტი



სურ. 7. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების წლიური მსვლელობა.

3. მესხეთის ქედის სამხრეთი კალთები. მიუხედავად იმისა, რომ ეს რაიონი საიმედოდ არის დაცული დასავლეთიდან მონაბერი ტენის მომტანი ჰაერის მასებისაგან მესხეთ-ჯავახეთის სხვა აღგილებთან შედარებით, აქ მაინც მეტი ნალექი მოდის; ამის შედეგად ხშირი შერეული ტყით არის დაფარული მიდამო.

ଏବାଲ୍‌ପାଇଏରୀ




ସ୍ତୁଠ. 8. ଦିନିତାତ୍ତ୍ଵ ମେଟ୍ରୋରାଲୋଗ୍ୟର ଏଲେମେନ୍ଟ୍ସିଙ୍ସ ଫଲିଂସର ମ୍ୱାଲେଲନ୍ଡା.

ზღვის დონიდან 2000—2100 მ ზევით ალპური საძოვრებების განვითარების რაიონი ხასიათდება ზომიერად ნოტიო ჰავით, ზომიერად ციფა ზამთარითა და ხანგრძლივი ზაფხულით. ამ ზონაში ჰაერის ტემპერატურა იანვარში -1 , -8° , ივნისში $13-20^{\circ}$ ფარგლებში იცვლება. წლის განმავლობაში მოდის $700-1400$ მმ ნალექი, უდიდესი — მაის-ივნისში, უმცირესი — იანვარში და აგვისტოში. დანესტიანების კოეფიციენტი $1,5-2,0$ ტოლია.

4. ჯავახეთის ზეგნის მაღალმთიანეთი. ეს რაიონი მოიცავს ზღვის დონიდან 1900—2000 მ ზევით მდებარე ადგილებს. ხასიათდება საკმაოდ ნოტიო ჰავით, ზომიერად ციფა ხანგრძლივი ზამთრითა და გრილი ზაფხულით. ჰაერის ტემპერატურა იანვარში -10°


როდიონოვანი



სურ. 9. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების წლიური მსვლელობა.

ზე ნაკლებია. ხოლო ივლისში — 14–15° ტოლია. წლის განმავლობაში ბაში მოდის 600—900 მმ ნალექი, უდიდესია — ივნისში. უმცირესი — იანვარში. (სურ. 9-10). ღანესტიანების კოეფიციენტი 1—1,5 ტოლია.

მცოდნობა



სურ. 10. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების წლიური მსვლელობა.

ლიტერატურა

1. კორძახია მ., ნაფეტვარიძე ე.— მესხეთის კლიმატი. ვაჭუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. ტ. 5, ნაკვ. 1. თბ., 1950.
2. კორძახია მ., საქართველოს ჰავა, თბ., 1961.
3. კორძახია მ., ჯავახიშვილი შ., საქართველოს ჰავა, თბ., 1971.
4. ნაფეტვარიძე ე., ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესები საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც მისი კლიმატური ფაქტორი. ვაჭუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები ტ. III, თბ., 1984.
5. ჯავახიშვილი შ., სიმაღლის მიხედვით ნალექების ცვლილების კანონ-ზომიერებათა შესწავლა ომოსავლეთ საქართველოში. საქართველოს გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1965.
6. ჯავახიშვილი შ., საქართველოს სსრ კლიმატოგრაფია. თბ., 1977.
7. ჯავახიშვილი შ., ატმოსფერული ნალექები საქართველოს ტერიტორიაზე თბ., 1981.
8. Балабуев А. Г., Основные черты климата Джавахетии; материалы по изучению природных ресурсов Ахалкалакского нагорья, Тб., 1933.
9. Гвасалия Н. В., Об особенностях радиационного режима курортов Грузии. Тр. ГГО, вып. 233, Л., 1968.
10. Гигинеишвили В. М., Градобития в Восточной Грузии. Л., 1960.
11. Гигинеишвили В. М., Напетваридзе Е. А. Папинашвили К. И. Основные типы синоптических процессов в Закавказье. Тр. ТбИНИГМИ, вып. 01, л., 1954.
12. Гогишвили К. С., Исследования циркуляционных факторов климата Грузии, Тб., 1974.
13. Климат и климатические ресурсы Грузии. Тр. ЗакНИГМИ, вып. 44 (50), Л. 1971.
14. Котария А. Ф., К вопросу о распределении суммарной радиации на территории Грузии. Тр. ТГУ, А5 (147). Тб. 1972.
15. Опасные гидрометеорологические явления на Кавказе, Л. 1980.
16. Справочник по климату СССР, вып. 14. Грузинская ССР, ч. I—У, Л., 1967—1970.

సారిపడి

శ్యాసనాలు	3
తాగి 1. భేషణైత్-కావాళైతిస కొవిస ఔంగమిల్లేబిస దింగితాడి జాక్షిమిల్లేబిస	6
1.1. మొస రాఫిలాచ్రిస	6
1.2. ఎంబెసిఫ్యూరోస ప్రింట్యూలాప్రింటి ప్రింట్యూస్ట్రేబిస	3
తాగి 2. కొవిస దింగితాడి మాక్షెన్జెబ్లేబిస డాక్సాసింగ్పొ	
2.1. కొవిస ట్రేపింగ్రాట్యూరా	21
2.2. జారి	30
2.3. కొవిస సినొటిప్పి	34
2.4. ఎంబెసిఫ్యూర్యూలి నాల్ప్రేబిస	40
2.5. ల్రింగ్బ్లోన్బో	47
2.6. అంగింగ్బోల్బో	49
2.7. డాన్సెస్ట్రీన్గెబిస క్రోఫ్టిప్రోణ్టీం	51
2.8. డాన్సెస్ట్రీన్గెబిస బాలామ్సి	52
2.9. ఎంబెసిఫ్యూరోస గామిసాక్యూటర్లేబ్బులి మొవ్లెన్జెబి	53
తాగి 3. భేషణైత్-కావాళైతిస క్రొమిట్యూరి రాంపెన్జెబి	
మిట్రీ రాంట్యు రా	64

ଶାମିନିପ୍ରେମଲଙ୍ଘଠିଲୁ ର୍ଯ୍ୟାନ୍‌ତାରିଖ
ର୍ଯ୍ୟାନ୍‌ତାରିଖ ର୍ଯ୍ୟାନ୍‌ତାରିଖ
ତ. ଫିରପୁକ୍ତେଲାନ୍‌
ପାର୍ଶ୍ଵକ୍ଷେତ୍ରରି ଲ୍ଲ. ବାଲନିଶ୍ଚିଲିଂ
ଗାଢାଏତା ୩୦ମିନେବାସ 13.10.88. କେଲମନ୍ତିରିଲିଙ୍ଗିଳା ଲାଶାଶ୍ରେଷ୍ଠଦାତ
ଲାଶାଶ୍ରେଷ୍ଠଦାତ କାଳାଲିଙ୍ଗ 60X84. ବିରାମିତା ନାଶ୍ରେଷ୍ଠଦାତ 4,25,
ଲାଶାଶ୍ରେଷ୍ଠଦାତ 3,01
ଶ୍ରେଷ୍ଠ. 902 ପିରାଜ୍ୟା 800
ଲାଶାଶ୍ରେଷ୍ଠ 25 କାତ.

თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.



Джавахишвили Шота Иосифович

КЛИМАТ МЕСХЕТ-ДЖАВАХЕТИ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси 1990

